www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 23 ივნისი, 2009 წელი. №139 (2177) | ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

იხილეთ ჩანართი


The New York Times
ეროვნული თავისებურებები და დაპირისპირება
საკუთარი ძალებით ინფორმაციის სულ უფრო მეტი ადამიანი მოიპოვებს
რელიგიის წინააღმდეგ რეფორმა შუა აღმოსავლეთში

თეირანი 2009 - ათასობით პოლიციელი დედაქალაქის ქუჩებში

A8




"ამირანში" ინგმარ ბერგმანის რეტროსპექტივა გაიმართება

A10



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ტერაქტი ინგუშეთში - პროცესის კულმინაცია

ივა შილაკაძე

გუშინ დილას სამსახურში მიმავალ ინგუშეთის პრეზიდენტ იუნუს-ბეკ ევკუროვზე კარგად მომზადებული ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა. ნაზრანიდან მაგასში მიმავალ ფედერალურ ტრასა "კავკაზზე", პრეზიდენტის კორტეჟის ჩავლისას, აფეთქდა გზის პირას გაჩერებული ავტომანქანა "ტოიოტა კამრი", რომლის საბარგულიც ასაფეთქებელი ნივთიერებით იყო სავსე. მანქანა შიგ მჯდომმა თვითმკვლელმა ტერორისტმა ააფეთქა. სხვა მონაცემებით, მანქანა გაჩერებული არ ყოფილა და ის მოძრაობისას ზუსტად იმ დროს აფეთქდა, როცა მას პრეზიდენტის ავტომობილი გაუსწორდა. შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა ევკუროვის დაჯავშნული მერსედესი და სერიოზულად დაზიანდა კორტეჟის კიდევ ორი ავტომობილი. ცხადია, თითქმის არაფერი დარჩა თვითმკვლელის ავტომანქანისდან. აფეთქების შედეგად სერიოზულად დაიჭრნენ პრეზიდენტი იუნუს-ბეკ ევკუროვი, მისი ძმა უვაის ევკუროვი და კიდევ რამდენიმე ადამიანი.

გაგრძელება A7 გვერდზე


AFP ' 2009
*თავდასხმისთვის გამოყენებული მანქანა მოსკოვში აღმოჩნდა გატაცებული.*

## უცხოური ფული და "მოლოტოვის კოქტეილი" - სახელისუფლებო ფრაქციის შეშფოთების საგანი

გიორგი ასანიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები შეშფოთებულნი არიან არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის იმ განცხადებით, რომლის თანახმადაც, ის ამ დღეებში საზღვარგარეთ "ფულის ჩამოსატანად" იყო წასული.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის თქმით, კარგი იქნება, ოპოზიციის საპროტესტო აქციის მონაწილეებმა იცოდნენ არა მარტო ის, თუ როგორ შეიცვალა უცხოეთში ვიზიტის შემდეგ ლევან გაჩეჩილაძის ფინანსური მდგომარეობა, არამედ ისიც, კონკრეტულად რომელი ძალისგან ფინანსდება. კუბლაშვილი შეახსენებს პოლიტიკურ ოპონენტებს, რომ კანონის მიხედვით, მათ არ შეუძლიათ უცხოელი ფიზიკური პირების ან ორგანიზაციებისგან თანხის მიღება, მაგრამ უფლება აქვთ, ისარგებლონ საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ფინანსური დახმარებით. ამასთან, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე განმარტავს, რომ ასეთი პირების მიერ გაწეული დახმარების ზედა ზღვარი 30 ათასს ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი გოკა გაბაშვილიც მიიჩნევს, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს ლევან გაჩეჩილაძის მიერ უცხოეთში მოძიებული ფულის წარმომავლობა და ის, თუ რას მოხმარდება ეს თანხა.

**"მინიმუმ, უნდა გვქონდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ უკვეთავს მუსიკას,"** - მოითხოვს გაბაშვილი. მისივე თქმით, რუსული კომპანიები 70 მილიონ დოლარს ხარჯავენ ლობისტ ფირმებთან, რათა მოვლენები მათთვის სასურველად გაშუქდეს და ამის გათვალისწინებით, სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ მოსკოვმა თანხები საქართველოში დესტაბილიზაციისთვისაც დახარჯოს.

მართალია, კუბლაშვილისა და გაბაშვილის მსგავსად, არც შოთა მალაშხიამ იცის ის, თუ რისთვის იღებს ლევან გაჩეჩილაძე ფულს უცხოეთიდან, მაგრამ სამაგიეროდ, ნამდვილად იცის, თუ რისთვის არ იღებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## უცნობი დამფინანსებელი და გეგმიური დემონსტრაციები

*სამდღიანი მოლოდინის მიუხედავად, არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ კვლავ განმარტების გარეშე დატოვა საპროტესტო აქციების უცხოური ქვეყნებიდან დაფინანსების საკითხი. "ყველაფერი იქნება გამჭვირვალედ, მაგრამ არა ამ ეტაპზე," - აღნიშნა გაჩეჩილაძემ.*

დათო გამისონია

უცხოეთიდან მისაღები დაფინანსების შესახებ არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ თავდაპირველად 19 ივნისს განაცხადა. **"უცხოეთში ფულის საშოვნელად ვიყავი წასული, ამას რაც უნდათ, ის დაარქვან. მე ვიცი, რომ ჩემს სახელმწიფოსთან და ჩემს თავთან ვარ მართალი. დრო მოვა, ვიტყვი - სად, როგორ და ვის ვხვდებოდი, ხოლო ახლა ასეა საჭირო და არ ვამბობ,"** - აღნიშნა გაჩეჩილაძემ. ამ განცხადებიდან სამ დღის შემდეგ, იგი კვლავ შეეხო დაფინანსების საკითხს, თუმცა დაპირებული ინფორმაციის გამჟღავნებისგან ამჯერადაც თავი შეიკავა. გარდა ამისა, გაჩეჩილაძემ არ დაასახელა, თუ ვისთან გამართა საზღვარგარეთ შეხვედრები: **"არ ვაკონკრეტებ, რათა ეს ადამიანი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაგდო. ეს თანხა თავისუფლებას და დემოკრატიას მოხმარდება."**

არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა გაჩეჩილაძის ფინანსებთან დაკავშირებით ხელისუფლებაში წარმოქმნილ ეჭვებს უპასუხეს.

**"ლევან გაჩეჩილაძე ფიზიკური პირია და მოქმედი კანონმდებლობით, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების გამო პასუხს ვერ მოსთხოვენ,"** - აღნიშნა "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძემ. გარდა ამისა, "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერებმა კატეგორიულად უარყვეს ხელისუფლების წარმომადგენელთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციას რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები აფინანსებენ. **"სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ოპოზიცია არც 9 აპრილამდე და არც მას შემდეგ რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების მიერ არ დაფინანსებულა.**

გაგრძელება A2 გვერდზე

### ლიტვის პრეზიდენტი საქართველოში

ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი საქართველოში ვიზიტით იმყოფება. ადამკუსი დღეს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდება. პრეზიდენტებს შორის გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ კი სააკაშვილი და ადამკუსი მთაწმინდაზე ვილნიუსის სკვერს გახსნიან. ადამკუსი ასევე ლიტვის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრება. **პირველი**

### შეხვედრა ჩაიშალა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 23 ივნისს დაგეგმილი იყო ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მესამე შეხვედრის გამართვა, რომელშიც თანათავმჯდომარე ორგანიზაციებთან - ევროკავშირსა და ეუთო-სთან ერთად, მონაწილეობა უნდა მიეღოთ რუსეთის საოკუპაციო ჯარის და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებს.

სამწუხაროდ, აღნიშნული შეხვედრა ვერ შედგება იმის გამო, რომ ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებმა მექანიზმში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის რიგით მესამე შეხვედრის ჩაშლის მიმართ თავისი ნეგატიური პოზიცია დააფიქსირა საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელმა ჰანსიორგ ჰაბერმა.

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის და რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლების ხისტი პოზიციის გამო, ინციდენტების პრევენციის მექანიზმის მესამე შეხვედრის ჩატარების საკითხის გაურკვეველი ვადით გადადება უკანასკნელი თვეების მანძილზე განხორციელებულ დესტრუქციულ ქმედებათა ჯაჭვის გაგრძელებას წარმოადგენს. ამ მიდგომის უკან რუსეთის გააზრებული პოლიტიკა დგას, რომელიც ეწინააღმდეგება კონფლიქტის მოგვარების პროცესის ინტერნაციონალიზაციას და ჟენევის მოლაპარაკებების მნიშვნელობის დაკნინებისკენ არის მიმართული. ინციდენტების პრევენციის მექანიზმის ჩაშლის გამო მთელი პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება, რომელიც როგორც ოკუპანტი ძალა, ეფექტურ კონტროლს ახორციელებს საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილებზე - ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე, - აცხადებს საგარეო უწყება. **მედიანიუსი**

### თემურ იაკობაშვილი დარწმუნებულია, რომ ეუთო საქართველოში დაბრუნდება

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი დარწმუნებულია, რომ ეუთო საქართველოში დაბრუნდება. როგორც იაკობაშვილმა ეუთო-ს მისიის ოფისში გამართულ მიღებაზე განაცხადა, ეუთო საქართველოში კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მექანიზმი იყო. მისივე თქმით, პირველად რუსეთმა დაბლოკა ეუთო-ს დამკვირვებლების მისია საქართველოს საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, ხოლო ამჯერად რუსეთმა მეორე ეტაპზე უკვე მთლიანად საქართველოში ეუთო-ს მისია დაბლოკა. თემურ იაკობაშვილი დარწმუნებულია, რომ ეუთო დაბრუნდება საქართველოში, ოღონდ სახეცვლილი ფორმით, რადგან რეალურად კონფლიქტების პრობლემა საქართველოში გადაწყვეტილი არ არის. **ინტერპრესნიუსი**



მეუღლე ნონა კარტოზია, შვილები ეკა და კოკა აკობია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ილიკო სუხიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის დამსახურებული არტისტი, მოცეკვავე (1970-1990წწ)

**რუსლან ვალიკოს ძე აკობია**

პანაშვიდი: სამშაბათს 23 ივნისს (16:00-19:00), ქ. თბილისი, გ. ბრწყინვალის ქ. N 5, მე-2 სართული, ბინა N 2

ხუთშაბათს 25 ივნისს (17:00 - 19:00) და პარასკევს 26 ივნისს (17:00 - 19:00), ქ. ზუგდიდი, ს. დადვანის ქ. N 12.

დაკრძალვა: შაბათს, 15:00, ზუგდიდის ჭითაწყაროს ახალ სასაფლაოზე.

# უცხოური ფული და "მოლოტოვის კოქტეილი" - სახელისუფლებო ფრაქციის შეშფოთების საგანი

პირველი გვერდიდან

**"აშკარაა, რომ ეს არ არის ჰონორარი გაჩეჩილაძის მიერ წაკითხული ლექციისთვის "ქართული ჯიგარმენტების დამკვიდრება საქართველოში,"** - გამორიცხვის მეთოდს მიმართავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე.

თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ფიქრობს, რომ უნდა მოხდეს საზღვარგარეთიდან პარტიების დაფინანსების უფრო მკაფიო საკანონმდებლო დარეგულირება.

**"პოლიტიკურ პარტიებს უნდა მოეთხოვებოდეთ მეტი გამჭვირვალობა ამ თანხების წარმომავლობისა და ხარჯვის საკითხში,"** - აღნიშნა პარლამენტის სპიკერმა ბიუროს გუშინდელ სხდომაზე.

ამ თემას განსხვავებულად უყურებს საპარლამენტო უმცირესობა. როგორც ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე აცხადებს, რომ არა ბიზნესზე ზეწოლა, საზღვარგარეთ ფულის მოძიების სურვილი არავის გაუჩნდებოდა.

**"წინა არჩევნებზე "ნაციონალურმა მოძრაობამ" 12 მილიონი ლარი დახარჯა, სხვა ყველა დანარჩენმა პარტიამ ერთად - 1 მილიონი. იმ ბიზნესმენებს, ვინც ეს ერთი მილიონი გაიღო, შემდგომში პრობლემები შეექმნათ: ზოგს ფინანსური დარღვევები აღმოუჩინეს, ზოგს კი ქონება დაეწვა,"** - პოლიტიკური პარტიების არათანაბარ მდგომარეობაზე საუბრობს ლევან ვეფხვაძე და ითხოვს, რომ ამ საკითხზე პოლიტიკური დებატები პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაგრძელდეს.

სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლები ვეფხვაძის შეფასებებს არ ეთანხმებიან. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ბიზნესზე ზეწოლის შესახებ საუბარი საფუძველს მოკლებულია.

**"ბიზნესი ფულს დებს სტაბილურობაში და არა - არასტაბილურობაში,"** - ასე ხსნის სახელისუფლებო პარტიის მიმართ ბიზნესმენების "კეთილგანწყობას" მელიქიშვილი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე წინა პლაზე წამოიწია, საკანონმდებლო ორგანოს შენობისთვის ე.წ "მოლოტოვის კოქტეილის" ბოთლების სროლაა.

**"პარლამენტის წინააღმდეგ განხორციელდა შეტევა - ამ ფაქტს მე შეგნებულად არ ვუწოდებ ინცინდენტს. ეს იყო დროში გაწერილი და რამდენიმე ეტაპად განხორციელებული შეტევა. ცეცხლმოკიდებული პარლამენტის შენობა დღემდე რჩება სამოქალაქო ომის სიმბოლოდ, ასეთ სიმბოლოებთან თამაში კი დაუშვებელია. არსებობს ზღვარი, რომლის გადალახვა არ შეიძლება. არსებობს ქმედება, რომლის ჩადენა არ შეიძლება,"** - ასეთია დავით ბაქრაძის შეფასება, რომელიც მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ლიდერს, დაგმოს ეს ქმედება და გაემიჯნოს მას.

პოლიტიკური დისკუსიის გარდა, უახლოეს დღეებში დაგეგმილ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატებს რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტისა და საკადრო გადაწყვეტილების მიღებაც მოუწევთ. კერძოდ, პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ორი კანდიდატურა. ნატო-ში საქართველოს წარმომადგენლად მოიაზრება ყოფილი პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი, ხოლო სომხეთში საქართველოს ელჩად - გრიგოლ ტაბატაძე, რომელიც 2007 წლის იანვიდან დღემდე რამდენიმე არაბულ ქვეყანაში (კუვეიტი, შაუდის არაბეთი, ბაჰრეინი, კატარი, ომანი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები) საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანია.

პლენარულ სხდომაზე დეპუტატები ასევე მოისმენენ მთავრობის ანგარიშს "საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ" და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს განიხილავენ.

# უცნობი დამფინანსებელი და გეგმიური დემონსტრაციები

პირველი გვერდიდან

**რაც შეეხება ზოგადად, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენებს, მათ სრული უფლება აქვთ, დააფინანსონ საპროტესტო აქციები - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან,"** - განაცხადა "ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ.

რუსეთთან ნებისმიერი ფინანსური კავშირი გამორიცხა ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის წევრმა ვიქტორ დოლიძემაც: **"ეს მხოლოდ და მხოლოდ სპეკულაციებია. მაგალითისთვის ხან ლევან მამალაძეს მოიყვანენ და ხანაც კახა თარგამაძეს."** რაც შეეხება გაჩეჩილაძის მიერ ევროპაში გამართულ შეხვედრებს, "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერები ინფორმირებულები იყვნენ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ვიზიტის შესახებ. **"ლევან გაჩეჩილაძესთან ყოველდღიური კავშირი მაქვს და, რა თქმა უნდა, ვიცოდი მისი ვიზიტის შესახებ. კერძოდ, ის იყო ბრიუსელში და ევროპის სხვა დედაქალაქებში,"** - განმარტა ვიქტორ დოლიძემ. "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერებისგან განსხვავებით, ლევან გაჩეჩილაძის ევროპული ვიზიტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ საპროტესტო აქციების ორგანიზატორი სხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერები. გარდა ამისა, მათ გაჩეჩილაძის მიერ გაკეთებული განცხადება არადამაჯერებლად მიაჩნიათ. **"ჩემთვის არ არის ცნობილი, სად იყო ბატონი ლევანი, ვის შეხვდა და რა თემებზე საუბრობდა. გაოცებული ვარ ლევან გაჩეჩილაძის მიერ გაკეთებული განცხადებით. რამდენადაც ვიცი, ამ განცხადებას არა აქვს საფუძველი. ზოგადად ასეთი განცხადებები ამ ფორმით არ კეთდება ხოლმე,"** - აღნიშნა "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.

### უახლოესი გეგმები

ლევან გაჩეჩილაძემ პარლამენტის შენობის წინ გუშინ გამართულ საპროტესტო მიტინგზე სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა. უზენაესი სასამართლოს შენობასთან გადადებული დემონსტრაცია ამჟამად 26 ივნისისთვის დაიგეგმა - გაერო-ს წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს. ამასთანავე, ლევან გაჩეჩილაძის ცნობით, 27 ივნისს საქართველოში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ჩამოვა, რათა ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტები შეამოწმოს.

საპროტესტო აქციების ორგანიზატორებმა გუშინ კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ საპროტესტო პროცესი უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდება. "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ რუსთაველის გამზირზე დაგეგმილ საპროტესტო დემონსტრაციების განრიგზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, ყოველდღიურად 17:00 საათზე საინფორმაციო მიტინგი გაიმართება, ხოლო პარასკევობით ე.წ. პოლიტიკური დემონსტრაციები მოეწყობა, რომლებშიც საპროტესტო აქციების ყველა ორგანიზატორი ლიდერი მიიღებს მონაწილეობას. გარდა ამისა, 9 ივლისს, საპროტესტო აქციების დაწყებიდან სამი თვის თავზე, სამეგრელოში მასშტაბური საპროტესტო დემონსტრაცია ჩატარდება. დღეს კი, 17:00 საათზე საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის შენობასთან საპროტესტო აქციების ორგანიზატორი ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ლიდერები პროტესტის გაგრძელების ახალი ფორმების შესახებ გააკეთებენ განცხადებას.

# 1 ივლისს ჟენევაში დაგეგმილი მოლაპარაკებების საკითხები

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორმა შოთა ღვინერიამ განაცხადა, ჟენევის მოლაპარაკებებზე ქართული მხარე საერთაშორისო სამშვიდობო და საპოლიციო მექანიზმების ამოქმედების საკითხს დააყენებს.

მისივე თქმით, შეხვედრებზე ქართული მხარე წინა პლანზე ინციდენტების პრევენციის მექანიზმების ამოქმედების საკითხსაც წამოწევს.

ღვინერიას განცხადებით, მოლაპარაკებების პროცესში ყურადღება გამახვილდება ასევე ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობის საკითხებზეც.

"ამ რეგიონებში ამ კუთხით ვითარება კატასტროფულია," - დასძინა მან.

*პირველი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# შეხვედრები მთავარი შეხვედრის გარეშე

დიმიტრი ავალიანი

*აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის საბჭო გუშინ ვაშინგტონში ოფიციალურად პირველად შეიკრიბა. მხარეებმა თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებზე საკუთარი წინადადებები წარმოადგინეს, რასაც ახლო მომავალში სამოქმედო გეგმის მომზადება და კონკრეტული ხელშეკრულებების გაფორმება მოჰყვება. ვაშაძე-კლინტონის შეხვედრა გუშინ სახელმწიფო მდივნის ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ შედგა. თუმცა, ვაშინგტონში აცხადებენ, რომ ეს ფაქტი აშშ-საქართველოს მოლაპარაკებებზე და ქარტიის შესრულებაზე არ აისახება.*

აშშ-სა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის საბჭოს პირველი საინაუგურაციო სხდომა გუშინ ვაშინგტონში ჩატარდა. სხდომის მიზანი ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული საკითხების განხილვა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება გახდა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯეიმს სტეინბერგმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა, გუშინდელ სხდომაზე ქართულმა და ამერიკულმა მხარემ სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში შეხვედრები გამართეს.

**"ეს შეხვედრები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ მნიშვნელობას, რასაც შეერთებული შტატები ამ ქარტიას ანიჭებს,"** - განაცხადა სტეინბერგმა.

**"ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა. ასევე ვაცხადებთ, რომ მხარს ვუჭერთ საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას და ქვეყნის სწრაფვას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში,"** - აღნიშნა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ.

ის, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის დაგეგმილი შეხვედრა ველარ შედგებოდა, გუშინ დილით გახდა ცნობილი. ეს ინფორმაცია საქართველოში აშშ-ს ელჩმა ჯონ ტეფტმაც დაადასტურა. მისი თქმით, შეხვედრის ჩაშლის მიზეზი ჰილარი კლინტონის ჯანმრთელობის გაუარესება გახდა. **"სახელმწიფო მდივანს ხელი აქვს მოტეხილი. ის ცდილობს, მალე ჩადგეს ჩვეულ ფორმაში, თუმცა ჯერჯერობით ვერ ახერხებს. ჰილარი კლინტონი თავად იყო ამ შეხვედრის ინიციატორი, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ახლა ამის გაკეთება არ შეიძლება. შეხვედრას სახელმწიფო მდივნის ერთ-ერთი მოადგილე გამართავს, სხვა მიზეზები არ უნდა ვეძებოთ. ქარტიის შესრულებაზე მუშაობა სრული ტემპით გაგრძელდება. დაწმუნებული ვარ, გრიგოლ ვაშაძისა და ჰილარი კლინტონის შეხვედრა უახლოეს პერიოდში გაიმართება,"** - განაცხადა ჯონ ტეფტმა.

რაც შეეხება სტრატეგიული პარტნიორობის საბჭოს სხდომას, გრიგოლ ვაშაძის განცადებით, მხარეებმა პროცედურულ საკითხებზე და სამუშაო გრაფიკზე იმსჯელეს. მისი თქმით, მხარეებმა ერთმანეთს კონკრეტული წინადადებები მიაწოდეს, რომელთა საფუძველზეც გაგრძელდება მუშაობა კონკრეტული ხელშეკრულებების გასაფორმებლად. ვაშაძემ აღნიშნა, რომ კომისიის შემდეგი სხდომა, სავარაუდოდ, თბილისში, შემოდგომაზე ჩატარდება.

საბჭოს სხდომის დაწყებამდე საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი აცხადებდა, რომ აშშ-ს ოფიციალურ პირებთან შეხვედრებზე საუბარი შეეხება უსაფრთხოების საკითხებს, ასევე აშშ-სა და საქართველოს დელეგაციების თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებში, განსაკუთრებით გაერო-სა და ეუთო-ში. მისი თქმით, განსაკუთრებული ყურადღება ვიზიტის ფარგლებში გამახვილდება ეკონომიკურ და სამხედრო თანამშრომლობაზე.

როგორც, თავის მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ განაცხადა, **"დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია იმით, რომ ქარტია უშუალოდ იწყებს მოქმედებას".**

მისი თქმით, ურთიერთობის გაღრმავების პროცესი ორ ქვეყანას შორის აქამდეც მიმდინარეობდა, მათ შორის თავდაცვის სფეროში, მაგრამ ქართული მხარის სურვილია, ამ თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია მოხდეს და პრიორიტეტული მიმართულებები ჩამოყალიბდეს.

ბოკერიამ აღნიშნა, რომ ქართულ მხარეს იმედი აქვს, სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს სხდომები წელიწადში რამდენჯერმე გაიმართება.

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში გრიგოლ ვაშაძეს დაგეგმილი აქვს ასევე შეხვედრები სენატორებთან, ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწესთან უსაფრთხოების საკითხებში და თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან.

# დანგრეული ხიდი - თანამშრომლობის საწინდარი

ნათია მსხილაძე

*სახალხო დამცველი სოზარ სუბარი 19 ივნისს გამოვიდა ინიციატივით, შექმნას კომისია, რომელიც შეისწავლის, რეალურად რა მოხდა მამისონის უღელტეხილზე. სოზარ სუბარის განცხადებით, კომისიის შემადგენლობაში ხელისუფლების, ოპოზიციისა და საზოგადოების წარმომადგენლები უნდა შევიდნენ. აღნიშნულ ინიციატივას არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ და კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე მზადყოფნა გამოთქვეს.*

## მამისონის უღელტეხილთან ე.წ. ნიკოლოზის ხიდი ორ კვირაში აღდგება

"მამისონის უღელტეხილთან ე.წ. ნიკოლოზის ხიდი უახლოეს ორ კვირაში აღდგება," - ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" რაჭა-ლეჩხუმის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა დავით გაგოშიძემ განუცხადა.

"უკვე დაწყებულია ხიდამდე მისასვლელი გზის გაწმენდითი სამუშაოები და უახლოეს დღეებში დაიწყება ხიდის აღდგენა და მშენებლობა. ხიდის აღდგენა საბოლოოდ მაქსიმუმ ორ კვირის ვადაში დასრულდება," - განაცხადა დავით გაგოშიძემ, რომელიც გუშინ ე.წ. ნიკოლოზის ხიდთან იყო ასული.

მასთან ერთად აფეთქებული ხიდი და მიმდებარე ტერიტორია ონის რაიონის გამგებელმა ამირან სხიერელმაც მოინახულა. რაც შეეხება ხიდის ასაშენებლ მასალას, რკინის კონსტრუქციები უკვე კურორტ შოვის ხიდთან არის ჩამოტვირთული.

*ინტერპრესნიუსი*

"ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენლები ეჭვობენ, რომ რაჭის ტერიტორიაზე, მამისონის უღელტეხილთან მდებარე ხიდის აფეთქება ხელისუფლებას სარკოზი-მედვედევის 6-პუნქტიან შეთანხმებაში არსებული მე-5 პუნქტის შესაბამისად მოუწია. **"სარკოზი-მედვედევის 6-პუნქტიან გეგმაში, კონკრეტულად კი მეხუთე პუნქტში, რომელსაც სარკოზის სპეციალური განმარტებითი წერილიც მოჰყვა, შესულია შემდეგი საკითხი, რომ რუსეთს ეძლევა საშუალება, ე.წ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის შიგნით უსაფრთხოების დამატებითი ზომები განახორციელოს. ჩვენი ვარაუდით, სწორედ ამ პუნქტის გათვალისწინებით, რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა, საბჭოთა კავშირის დროს მოქმედი ე.წ სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიულ საზღვრებში 20-კილომეტრიანი მონაკვეთი გაეთავისუფლებინა და დაბლა დაეწია - შოვამდე,"** - განმარტა "რესპუბლიკელმა" ირაკლი ბათიაშვილმა.

"ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენლის დავით გამყრელიძის განცხადებით, კომისიის შექმნის შემთხვევაში, მისი წევრობის კანდიდატებად ალიანსიდან დავით საგანელიძე, ვიქტორ დოლიძე და ირაკლი ბათიაშვილი დასახელდებიან.

ალიანსის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებამ, ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე, აფეთქებული ხიდის აღდგენა უნდა უზრუნველყოს.

დავით საგანელიძე, ადგილობრივ მოსახლეობაზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ ხიდი საქართველოს ხელისუფლების აფეთქებულია და მოსახლეობა რამდენიმე დღით ადრე იყო გაფრთხილებული, რომ ხიდს მიღმა არ გადასულიყო. საგანელიძის ინფორმაციით, ამჟამად მესაზღვრეები ხიდიდან 3 კილომეტრის მოშორებით, კურორტ შოვის მიმდებარედ იმყოფებიან და ხიდს მიღმა ტერიტორია ქართული მხარისგან უკონტროლოდ არის დარჩენილი.

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" მთავარი საბჭო მიესალმება სახალხო დამცველის მოწოდებას და გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, ითანამშრომლოს მამისონის უღელტეხილზე განვითარებული მოვლენების შემსწავლელ კომისიასთან.

**"ჩვენი ქვეყნის უზენაესი ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებელია, ერთობლივი ჯგუფის შექმნა ხელისუფლების, ოპოზიციის და საზოგადოების წარმომადგენლებისგან. მასში მონაწილეობისთვის მზად ვართ,"** - აცხადებენ ნინო ბურჯანაძის პარტიაში.

ადგილზე ჩასვლას ასევე გეგმავენ "თავისუფალი აზრის სახლის" ხელმძღვანელი მამუკა არეშიძე და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი.

## აშშ-ს სენატი საქართველოში ახალ ელჩს უახლოეს დღეებში დაამტკიცებს

გუშინ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სენატში ოფიციალურად წარადგინა საქართველოში აშშ-ს ახალი ელჩის ჯონ ბასის კანდიდატურა, რომელსაც სენატი უახლოეს დღეებში დაამტკიცებს. ჯონ ბასი თბილისში აგვისტოში ჩამოვა და ელჩის მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

ჯონ ბასმა დიპლომატიური კარიერა 1988 წელს დაიწყო. ის აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის აპარატს ხელმძღვანელობდა. ასევე ჩართული იყო ნატო-რუსეთის მოლაპარაკებების პროცესში, რომელიც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას ითვალისწინებდა. ბასი დიპლომატის რანგში მუშაობდა იტალიაში, ბელგიასა და ჩადიში.

ბასი სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საოპერაციო ცენტრს. 2008 წლის ივლისიდან სპეციალური ჯგუფის თავმჯდომარედ დაინიშნა, რომელიც ბაღდადის აღდგენაზე მუშაობს.

ჯონ ბასი ელჩის თანამდებობაზე ჯონ ტეფტს შეცვლის, რომელიც აშშ-ს დიპლომატიურ მისიას 2005 წლიდან ხელმძღვანელობდა. 2008 წლის ივლისში ტეფტს უფლებამოსილება ამოეწურა, მაგრამ აშშ-ს პრეზიდენტმა მას უფლებამოსილება ერთი წლით გაუგრძელა. **მედიანიუსი**

## ჯანმრთელობის იაფი დაზღვევის პროგრამაში ჩართვა 21 ივლისამდე გაგრძელდება

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილის განმარტებით, გადაწყვეტილება დაზღვევის მსურველთა რაოდენობის მატებამ განაპირობა. ამ ეტაპზე ჯანმრთელობის იაფი დაზღვევის პროგრამით 40 000 ადამიანია დაზღვეული. მინისტრის განცხადებით, პროგრამა მოქმედებს და გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ იაფი დაზღვევა აღარ იმუშავებს, სიმართლეს არ შეესაბამება. პროგრამის დასრულების შემდეგ შეჯამდება შედეგები, გაკეთდება ანალიზი და მომავალშიც დაიგეგმება მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი სადაზღვევო პაკეტის მიწოდება. როგორც სამინისტროში აცხადებენ, სახელმწიფოს მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სადაზღვევო მედიცინის განვითარებას და მაქსიმალურად მოიცვას მოსახლეობა სამედიცინო დაზღვევით. ჯანმრთელობის ხელმისაწვდომი დაზღვევის პროგრამა საქართველოში 1-ელი მარტიდან მოქმედებს. ახალი პაკეტების გაყიდვის შეწყვეტა 30 ივნისს იყო დაგეგმილი. პროგრამში მონაწილე 3-დან 60-წლამდე ასაკის ნებისმიერი მოქალაქე ერთი წლის განმავლობაში 20 ლარზე ნაკლები თანხით გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას მიიღებს. **ინტერპრესნიუსი**

## პატრიოტთა ბანაკში 7 ათასამდე ბავშვი დაისვენებს

მიმდინარე წელს პატრიოტთა ბანაკში დასვენების შესაძლებლობა 7 ათასამდე ბავშვს ექნება. კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე სულხან სიბაშვილის განცხადებით, წელს პარტიოტთა ბანაკები საქართველოს 5 რეგიონში განთავსდება. "პარტიოტთა ბანაკებში სეზონის გასახსნელად მზადება უკვე დაწყებულია. წელს ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ, საგარეჯოს, ვარციხის, ყვავილნარის, შაორისა და სქურის პატრიოტთა ბანაკებში დაისვენონ", - აღნიშნა სიბაშვილმა. მისივე ინფორმაციით, ზუსტი თანხა, რომელიც პატრიოტთა ბანაკებზე დაიხარჯება, ამ დროისთვის ცნობილი არ არის, თუმცა აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება. **პირველი**

## "ქრისტიან-დემოკრატებმა" ონლაინ-კონფერენცია გამართეს

გუშინ "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ოფისში პროექტის "ვუსმენთ საქართველოს" ფარგლებში გიორგი თარგამაძესთან ონლაინ-კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში ქვეყნის 2 000-მდე მოქალაქემ და 400-მდე ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებმაც "ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერს შეკითხვებით და მოსაზრებებით მიმართეს. **პირველი**

## კახეთის ოთხ რაიონს ბუნებრივი აირის მიწოდება დღეს აღუდგება

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიები აცხადებენ, რომ გურჯაანს, თელავს, ყვარელსა და ლაგოდეხს ბუნებრივი აირის მიწოდება დღეს აღუდგებათ. კახეთის ოთხ რაიონს ბუნერივი აირის მიწოდება 16 ივნისს მაგისტრალზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზეზით შეუწყდა. **პირველი**

# "თიბისი ბანკის" ახალი პროდუქტი - "ბონუს ანაბარი"

სალომე ძაძამია

დღეიდან "თიბისი ბანკი" მომხმარებელს ახალ ანაბარს სთავაზობს. "ბონუს ანაბარი" - ასე ეწოდება ანაბარს, რომელიც ძალიან მარტივი და მოქნილი პირობებით გამოირჩევა. ერთი წლის განმავლობაში დაგროვილ თანხაზე ბანკი მომხმარებელს საჩუქრად დამატებით ბონუსს სთავაზობს.

ანაბრის გასახსნელად მომხმარებელმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი ოთხი სხვადასხვა ნომინალის კუპონიდან: 20, 30, 50 ან 100 ლარი, დოლარი ან ევრო - იმის მიხედვით, თუ რა თანხის დაგროვებას გეგმავს ყოველთვიურად. ერთი წლის მანძილზე ყოველთვიური შენატანების მეშვეობით გროვდება თანხა, ბანკი კი დამატებით საჩუქრად კლიენტს კუპონზე მითითებულ თანხას აძლევს.

იმისათვის, რომ მომხმარებელს არ დაავიწყდეს ყოველთვიურად ანგარიშზე თანხის დამატება, ყოველი თვის 25 რიცხვში ბანკიდან SMS შეტყობინებას მიიღებს.

შენატანების გაკეთება შესაძლებელია როგორც ბანკის ფილიალებში, ასევე დისტანციური სერვისების გამოყენებით (ინტერნეტბანკი, მობაილბანკი, ავტომატური გადარიცხვების სერვისი, ტელეფონბანკი) და, აგრეთვე, "თიბისი ფეის" სწრაფი გადახდის ტერმინალებით.

"ბონუს ანაბარს" შემდეგი უპირატესობები გააჩნია: ანაბარზე დარიცხული ბონუსის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ეს არის თანხის დაგროვების ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი საშუალება. რაც უფრო მაღალი ნომინალის არის მომხმარებლის მიერ არჩეული კუპონი, მით უფრო მეტია თანხის დაგროვების სტიმული. თუ მომხმარებელს სურვილი აქვს დაზოგოს იმაზე მეტი, ვიდრე ვარაუდობდა, შესაძლებელია ანაბარზე დაამატოს ნებისმიერი თანხა და ამისათვის ბანკის მიერ დაერიცხება 10%-იანი წლიური სარგებელი, თვის განმავლობაში მინიმალური შენატანის შეტანა შესაძლებელია შეუზღუდავი რაოდენობის მცირე თანხებით, იმის მიხედვით, თუ რა ოდენობებია მომხმარებლისთვის მოსახერხებელი.



ანაბრის გასახსნელად კლიენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ნომინალის მქონე ბონუს კუპონი და პირადობის მოწმობა. კუპონის მიღება ბანკში შეგიძლიათ, ხოლო ანაბრის გახსნა კუპონის მიღებიდან 3 თვის ვადაშია შესაძლებელი. ბონუს კუპონის თანხის მიღების პირობის შესრულებისას აღნიშნული თანხის დარიცხვა ანაბარზე ხდება ვადის ბოლოს, თუმცა კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია მისი წინასწარ გატანა. კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია ბონუს კუპონის თანხის გატანა წინასწარ. ამისათვის აუცილებელია, რომ ანაბარზე განთავსებული იყოს სასაჩუქრე კუპონზე აღნიშნულ თანხაზე 2-ჯერ მეტი. ანაბრის ვადაზე ადრე დარღვევისას ანაბარს ერიცხება წლიური სარგებელი 3%-ის ოდენობით ანაბრის ფაქტიურ ვადაზე გაანგარიშებით.

"თიბისი ბანკში" აცხადებენ, რომ ვინაიდან ბანკი ყველაზე მეტ ფიზიკური პირს ემსახურება, "ბონუს ანაბარზეც" დაინტერესება დიდი იქნება.

"თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე: "ბონუს ანაბარი" ჩვენი ახალი პროდუქტია. მომხმარებლებს საშუალება ეძლევა, ყოველთვიურად შემოიტანონ ერთი და იგივე თანხა და შემდეგ საჩუქრად გადაეცემათ მე-13-თვის დანამატი. ჩვენი კვლევების საფუძველზე დავინახეთ, რომ საქართველოში ადამიანების დიდი ნაწილი სარგებლობს ე.წ. ლატარიის პრინციპით. სწორედ ლატარიის ალტერნატივა შევთავაზეთ მათ. ვფიქრობ, ეს საკმაოდ საინტერესო შემოთავაზებაა და მოსახლეობაში საკმაოდ პოპულარული იქნება. "თიბისი ბანკი" ყველაზე დიდი ბანკია ფიზიკური პირების დეპოზიტებში და გვინდოდა, ჩვენი კლიენტებისათვის კიდევ ერთი ახალი მომსახურება შეგვეთავაზებინა."

# თბილისში პროექტის მართვის 60 ტოპმენეჯერი მომზადდა

თინა შავაძე

კერძო და სახელმწიფო სექტორს შესაძლებლობა მიეცა, პროექტის მართვის ტოპმენეჯერები თბილისში მოამზადოს. მიმდინარე წელს თავისუფალი უნივერსიტეტის ბაზაზე პროექტის მართვის კოლეჯი გაიხსნა. გუშინ კოლეჯმა პირველი სასწავლო წლის 60 კურსდამთავრებულს საერთაშორისო დონის სერტიფიკატი გადასცა. კოლეჯში სასწავლო პროგრამის მაღალ ხარისხს BP-ის მიერ მოწვეული კომპანია ESI International-ი უზრუნველყოფს. ეს არის მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაცია პროექტის მართვის სწავლებისა და კომპლექსური გადაწყვეტების სფეროში.

პროექტის მართვის ტოპმენეჯერად მომზადების ღირებულება 7 ათასი დოლარია. ამის მიუხედავად, ამ პროგრამაზე მოთხოვნა დიდია. ენერგეტიკის ექსპერტი მურმან მერკველიშვილი, რომელიც კოლეჯის პირველ კურსდამთავრებულთა შორისაა, ამბობს: "ორი წლის წინ დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით 45 კერძო და სახელმწიფო კომპანიაში გამოკითხვა ჩავატარე. გამოკითხულთა უმეტესობამ საქმიანობაში არსებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ ამოცანად პროექტების მართვის ხარისხის გაუმჯობესება დაასახელა. წლების განმავლობაში ენერგეტიკის სექტორში პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში უშუალოდ ვმონაწილეობდი. ESI International-ის მიერ მომზადებული სასწავლო კურსის გავლას ხუთი თვე დასჭირდა. სწავლის დროს უცხოელმა ტრენერებმა კარგად დამანახეს, თუ რა შეცდომები დავუშვი სხვადასხვა პროექტების განხორციელების დროს. მიღებული ცოდნა, რა თქმა უნდა, მიმდინარე პროექტების მართვის ხარისხის გაუმჯობესებაში ბევრად დამეხმარება."

პროექტების მართვის კოლეჯი 5 თვის წინ გაიხსნა. ადგილობრივი კერძო და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები სწავლობენ პროექტის მართვის კომპლექსური და ინტეგრირებული ტრენინგის პროგრამას. ამ ეტაპზე სხვადასხვა კომპანიების 60-მა თანამშრომელმა აიმაღლა კვალიფიკაცია და გახდა პროექტის მენეჯერი. მოკლევადიან პერსპექტივაში, პროექტების მართვის კოლეჯი მიზნად ისახავს პროექტის მართვის ხარისხის გაუმჯობესებას და, იმავდროულად, გათვლილია გრძელვადიან ამოცანაზე, რომელიც ქვეყნის მასშტაბით პროექტის მართვის პოტენციალის ამაღლებას გულისხმობს.

პირველი სამი ჯგუფისათვის პირველი ეტაპის პროექტის მართვის კოლეჯი (PMC) ნავთობისა და გაზის პროექტებში, კომპანია BP-ისა და მისი პარტნიორების თაოსნობით და ფინანსური მხარდაჭერითა და "თავისუფალი უნივერსიტეტის" პარტნიორობით დაარსდა. BP-ის გენერალური მენეჯერი ნილ დანი ამბობს: "BP -იმ სოციალური ინვესტირების პროგრამის ფარგლებში საქართველოში ბევრი პროექტი დააფინანსა განათლების, ეკოლოგიის, ეკონომიკის განვითარების მიზნით. ადგილობრივი კერძო და სახელმწიფო კომპანიები დაფინანსებული პროექტების ხარისხიან მართვას ხშირად ვერ უზრუნველყოფდნენ. ვფიქრობ, აღნიშნულ პრობლემას თბილისში ამოქმედებული პროექტის მართვის კოლეჯი მეტ-ნაკლებად გადაჭრის."

პროექტის მართვის პროგრამა შვიდი მოდულისგან შედგება: პროექტების მართვა, პროექტის ხელმძღვანელობა, მართვა და კომუნიკაცია, რისკების მართვა, დაგეგმვა და ხარჯების კონტროლი, ხარისხის კონტროლი პროექტის მენეჯერებისთვის, პროექტის მართვის პროგრამები, პროექტის მართვის დიპლომირებული სპეციალისტის (PMP) გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსი. ამ ეტაპზე სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, თუმცა პროექტის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ადგილობრივი ინსტრუქტორების მომზადება, რომლებიც სწავლების კურსს ქართულ ენაზე წაიკითხავენ.

# მომავლისთვის დახარჯული ფული

## სს "საქართველოს ბანკი" გორის N7 სკოლას აღადგენს

ნინო ნატროშვილი

სს "საქართველოს ბანკი" აგვისტოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდის მეშვეობით (ფონდი ბანკმა დაარსა) ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების დაწყებას გეგმავს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და "საქართველოს ბანკს" შორის ქალაქ გორში გუშინ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა. "საქართველოს ბანკის" დახმარების ფონდმა სკოლის რეაბილიტაციისთვის 404 000 ლარი გამოყო. აღდგენითი სამუშაოები 2009 წლის 1 ოქტომბრისთვის დასრულდება.

"მინდა მივულოცო ყველას, რომ ამ სკოლას, "საქართველოს ბანკის" სახით, დიდი ქომაგი და მხარდამჭერი გამოუჩნდა, რომელიც რეგიონში ყველაზე დიდი სკოლის რეაბილიტაციას შეეჭიდა. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ ახალი სასწავლო წელი ბევრად უფრო უკეთეს პირობებში დაიწყება, ახალი ინვენტარით და გარემონტებული სკოლით. ძალიან დიდი მადლობა "საქართველოს ბანკს", რომ უამრავ კეთილ საქმეს აკეთებს განათლების სისტემაში და ამ გზით უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას დებს, ინვესტიციას სწორედ საქართველოს მომავალში," - განაცხადა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ.

2008 წლის აგვისტოში გორის N7 საჯარო სკოლა დაბომბვის ეპიცენტრში მოჰყვა და სკოლის შენობა მნიშვნელოვნად დაზიანდა. სკოლაში ჩამოინგრა კედლები და სახურავი, დაზიანდა სკოლის გათბობის სისტემა, ასევე მთლიანად განადგურდა სკოლის ინტერიერი, კარფანჯარა და სასკოლო ინვენტარი.

"საქართველოს ბანკისთვის" დიდი პატივია, რომ რეგიონში ყველაზე დიდ სკოლას გაარემონტებს. "საქართველოს ბანკის" მიერ შექმნილმა დაზარალებულთა დახმარების ფონდმა უკვე აღადგინა ორი სკოლა დიცში და ერგნეთში. ჩვენთვის დიდი პატივია, ჩავდოთ ფული ჩვენი ახალგაზრდების სწავლაში. იმედია, ამ სკოლის მოსწავლეებს ვიხილავთ ჩვენს რიგებში და ასევე, სხვა წარმატებულ კომპანიებში. ეს არის კერძო სექტორის მიერ გამოყოფილი ერთ-ერთი ყველაზე დიდი თანხა, რომელიც კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთათვის დაიხარჯა," - განაცხადა ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა.



"საქართველოს ბანკი" მე-7 სკოლის სრული რეაბილიტაციისთვის 400 ათას ლარს დახარჯავს. ხოლო დაზარალებულთა დახმარების ფონდს უკვე მილიონი ლარი ექნება დახარჯული. "საქართველოს ბანკის" დახმარების ფონდი სრულად აღადგენს სკოლის 2,552 კვ. მ ფართობს, რაც სკოლის ორ შენობას მოიცავს. N7 საჯარო სკოლა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სკოლაა გორში, სადაც 1100 მოსწავლე ირიცხება, პედაგოგიური კოლექტივი კი 73 მასწავლებლისგან შედგება. "საქართველოს ბანკის" დახმარების ფონდისთვის გორში არსებული სკოლა რიგით მესამე აღდგენილი სკოლა იქნება. ფონდმა უკვე სრულად აღადგინა, გაარემონტა და სასკოლო ავეჯითა და ინვენტარით აღჭურვა ორი საჯარო სკოლა კონფლიქტის რეგიონში, სოფლებში დიცი და ერგნეთი, რაზეც 609,066 ლარი მიმართა.

# სამხრეთკავკასიური კონფერენცია ბერლინში

ნუცა ვარდოსანიძე

*ბერლინში გამართულ კონფერენციაზე სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და უკრაინის იუსტიციის მინისტრები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები და მაღალი რანგის თანამდებობის პირები გერმანელ ექსპერტებსა და სპეციალისტებს შეხვდნენ. კონფერენციის "სტაბილური განვითარება საჭიროებს სამართლებრივ სახელმწიფოს - თანამშრომლობის შანსები" ინიციატორი იყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო, რომლის დავალებითაც გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ (GTZ) ღონისძიება მოაწყო.*




*საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ბერლინის კონფერენციაზე.*

კონფერენციის 150 მონაწილემ აღმოსავლური პარტნიორობის ფარგლებში სამი სამხრეთკავკასიური ქვეყნის შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობის სამომავლო შესაძლებლობი განიხილა.

კავკასიელმა სტუმრებმა გერმანელ პარტნიორებთან ერთად სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების კუთხით თანამშრომლობის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს, რათა ტრანსფორმაციის პროცესების დაძლევა უფრო გაადვილდეს.

კონფერენციაში სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები გერმანიიდან, სომხეთიდან, საქართველოდან და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის მიმდინარე ინტენსიურმა დიალოგმა, ასევე გერმანელ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპელ სპეციალისტებთან აზრთა გაცვლა-გამოცვლამ კონფერენციის მეორე დღეს გამართულ სემინარზე განსაკუთრებით ხაზგასმით აჩვენა, რომ ქვეყნებს შეუძლიათ ერთმანეთისგან ბევრი რამ ისწავლონ. კონფერენციის ძირითადი თემები იყო - ხელისუფლების დანაწილება და მართლმსაჯულების როლი, საკუთრების უფლებები და საინვესტიციო პირობები, მმართველობის მოდერნიზაცია და ადმინისტრაციული მართლმსაჯულება, ასევე გარემოს დაცვის თანამედროვე სამართლის სხვადასხვა ასპექტები.

სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხებზე დიალოგი იმართება გერმანიის ფედერალური მთავრობის კავკასიური ინიციატივის ფარგლებში და აღმოსავლური პარტნიორობის კონტექსტში. მისი მიზანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობა სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის განვითარების კუთხით უფრო ინტენსიური გახადოს, ასევე ხელი შეუწყოს გრძელვადიან რეგიონალურ თანამშრლომობას სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

კავკასიური ინიციატივის გერმანული გაგების თაობაზე სიტყვით გამოვიდა გერმანიის ფედერაციის სახელმწიფო მდივანი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების დარგში ერიხ შტატერი.

**"ურთიერთთანამშრომლობას განვიხილავთ, ისევე როგორც შეთავაზებას, გავაფართოოთ დიალოგი სამხრეთ კავკასიის შიგნით საერთო ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე. გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს შეთავაზება მიღებულია. იქნებ როდესმე "სამხრეთ კავკასიელ ადვოკატთა გაერთიანება" ან "სამხრეთ კავკასიელ მოსამართლე ქალთა კავშირი" კიდეც შეიქმნას. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მონაწილე ნახავს სარგებელს,"** - განაცხადა ერიხ შტატერმა.

ღონისძიებები, რომლებითაც GTZ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს განვითარებას მხარს უჭერს, მოსამართლეთა და სხვა იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლებით და მრავლისმომცველი კოდიფიკაციებით თანამშრომლობას, ინსტიტუციების გაძლიერებას და მოსახლეობის ყველა ფენისთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობას გულისხმობს.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) ფედერალურ მთავრობას მხარს უჭერს საერთაშორისო განვითარების პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში. იგი გვთავაზობს გლობალურ სამყაროში პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური პირობების მოგვარებას, ხელს უწყობს სოციალური საკითხების სამომავლო გადაჭრას და კომპლექსური რეფორმებისა და ცვლილებათა განხორციელებას. მისი მიზანია ადამიანთა ცხოვრების პირობების მუდმივი გაუმჯობესება.

# განმარტება დაუკმაყოფილებელ საკონსტიტუციო სარჩელზე

*საკონსტიტუციო სასამართლომ ცოტა ხნის წინ პარლამენტის წინააღმდეგ სახალხო დამცველისა და "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" სარჩელები განიხილა. დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც საგადასახადო საიდუმლოებას შეეხება. მოსარჩელეები სწორედ ამ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვდნენ.*

ხათუნა ბიბაური

სადავო ნორმების შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების თანამშრომლებს ევალებათ, დაიცვან სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება და ეს ინფორმაცია მხოლოდ იმ მიზნებისთვის გამოიყენონ, რის გამოც ნებადართულია მისი გაცემა. საგადასახადო საიდუმლოების გახმაურებად ითვლება, საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გამოყენება საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირის, მოწვეული სპეციალისტის ან ექსპერტის მიერ პირადი მიზნებისთვის ან მისი გადაცემა სხვა პირისთვის. საგადასახადო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას შენახვისა და დამუშავების სპეციალური რეჟიმი აქვს. კანონმდებლობით, პასუხისმგებლობას საგადასახადო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების როგორც დაკარგვა, ასევე ინფორმაციის გახმაურება იწვევს. როდესაც ინფორმაციის სხვა პირისთვის გადაცემის ინიციატორი თავად გადასახადის გადამხდელია, საჭიროა მისი შესაბამისი წერილობითი ნებართვა.

მოსარჩელეები თვლიდნენ, რომ საქართველოს კონსტიტუცია საგადასახადო საიდუმლოებას, როგორც საიდუმლოების დამოუკიდებელ ტიპს, არ ითვალისწინებს. მოსარჩელეების განმარტებით, ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის თაობაზე, შეიძლება, გარკვეულ შემთხვევაში, პირად ან კომერციულ საიდუმლოებას მიეკუთვნებოდეს. თუმცა, მოსარჩელეების მტკიცებით, სადავო ნორმის ფორმულირება საშუალებას იძლევა, ინფორმაციის გაცემა ზედმეტად შეიზღუდოს.

**"საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამომწურავი ჩამონათვალი არ არის დადგენილი. ეს ნორმა სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, თვითნებური უარი განაცხადოს იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით ღიად არის მიჩნეული. ინფორმაციის გასაიდუმლოებას გარკვეული ლეგიტიმური მიზანი ყოველთვის უნდა ჰქონდეს. საგადასახადო საიდუმლოებით გასაიდუმლოებული ყველა ინფორმაცია ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს და მათი გასაიდუმლოების მიზანი გაურკვეველია,"** - აცხადებდნენ საკონსტიტუციო სარჩელის ავტორები.

**"საქართველოს კონსტიტუციაში ყველა ტერმინი ვერ იქნება დეკლარირებული, მათ შორის, "საგადასახადო საიდუმლოება." საქართველოს კონსტიტუციაში ტერმინები "სახელმწიფო საიდუმლოება," "პროფესიული საიდუმლოება" და "კომერციული საიდუმლოება" გადმოცემულია არა ფორმალურად და სიტყვა-სიტყვითი, არამედ ფართო მნიშვნელობით. "საგადასახადო საიდუმლოება" რაიმე განსხვავებული ტიპის საიდუმლოებას არ გულისხმობს. საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია პარალელურად საქართველოს კონსტიტუციაში მითითებული საიდუმლოების ერთ-ერთ სახეს მაინც აუცილებლად განეკუთვნება, განსაკუთრებით კი - კომერციულ საიდუმლოებას,"** - ასეთი იყო მოპასუხის, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლის პოზიცია.

საქმის განხილვაში მონაწილე სპეციალისტების აზრით, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია ადამიანის ფინანსებთან ან ჯანმრთელობასთან, აგრეთვე სხვა კერძო საკითხებთან, მის პირად საიდუმლოებას მიეკუთვნება. ტერმინში "ოფიციალური ჩანაწერები" ყველა ის დოკუმენტი და ინფორმაციის სხვა მატარებელი იგულისხმება, რომელიც საჯარო ინფორმაციას შეიცავს. სპეციალისტების აზრით, საგადასახადო ორგანომ გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა უნდა დაიცვას, რათა ნორმალურ საქმიანობაში ხელი არ შეეშალოს.

**"საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გახმაურება დაუშვებელია, რადგან ეს შეიძლება დამღუპველი გამოდგეს გადასახადის გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობისთვის,"** - ასეთი იყო სპეციალისტების მოსაზრება.

გადაწყვეტილების გამოტანისას, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია არა ტერმინის "საგადასახადო საიდუმლოების" გამოყენება ინფორმაციის გარკვეული ჯგუფის აღსანიშნავად, არამედ ინფორმაციის ამ ჯგუფის გასაიდუმლოების ინსტიტუტის არსი.

**"საგადასახადო საიდუმლოების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასებისას მხედველობაშია მისაღები, რომ გადასახადების აკრეფის ფუნქცია სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო დანიშნულების ფუნქციაა. ამ პროცესში გადასახადის გადამხდელს სავსებით ლოგიკური და გონივრული მოლოდინი აქვს, რომ მის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის მიწოდებული ინფორმაცია იქნება გამოყენებული საგადასახადო და არა სხვა არაპროგნოზირებადი მიზნებისთვის,"** - ნათქვამია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიის უზრუნველყოფა, თუმცა ინფორმაციის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად დაცული ნორმა.

სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის არსი განმარტა. ამ მუხლის ყურადღების ცენტრში მოქცეულია ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია. ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეჟიმი, რა თქმა უნდა, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროებისგან განსხვავდება. ინფორმაციის მიღების სამართლებრივი რეჟიმისგან განსხვავებულია 41-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით დაცული ნორმები. თუ პირველი პუნქტი ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული პირის უფლებებს იცავს, მე-2 პუნქტის მთავარი სუბიექტი არის პირი, რომლის კერძო სფეროს მიკუთვნებული მონაცემებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში - ე.ი. იგი დაინტერესებულია, რომ ეს ინფორმაცია არ გახმაურდეს.

**"ეს ნორმა იცავს პირის ფუნდამენტურ უფლებას, სახელმწიფოსგან ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული, მის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამხელისაგან დაცვა მოითხოვოს. ამას სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულება შეესატყვისება - არ დაუშვას აღნიშნული მონაცემების ხელმისაწვდომობა, გარდა კონსტიტუციით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევისა,"** - განმარტავს საკონსტიტუციო სასამართლო.

საქართველოს კონსტიტუცია პირის უფლებას არ ითვალისწინებს, ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაცია დაუბრკოლებლად მოიპოვოს სხვა პირის ჯანმრთელობის, ფინანსების ან სხვა კერძო საკითხების შესახებ. ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია ფულად ურთიერთობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას მოიცავს, ე.ი. საგადასახადო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ამდენად, საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომელიც სწორედ საგადასახადო ურთიერთობებს უკავშირდება, წარმოადგენს "ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციას" და მოქცეულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ კონსტიტუციურ სამართლებრივ რეჟიმში.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ნორმებით კონსტიტუციის 41-ე მუხლი არ იყო დარღვეული.

### პარლამენტის შენობასთან მომხდარ ინციდენტში მონაწილე დააკავეს

სამართალდამცველებმა პარლამენტის შენობასთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ერთი პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამის შესახებ სპეციალური განცხადება გაავრცელა. "შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ადრე ქურდობისთვის ნასამართლევი, 1988 წელს დაბადებული თემურ ხასია დააკავეს, რომელიც ეჭვმიტანილია მიმდინარე წლის 21 ივნისს, გვიან ღამით საქართველოს პარალამენტის შენობისათვის ე.წ "მოლოტოვის კოქტეილების" გამოყენებით საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელი კარის დაზიანებაში," - აღნიშნულია შს სამინისტროს განცხადებაში. ოფიციალური ინფორმაციით, დაკავებულმა დანაშაული აღიარა და აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. **პირველი**

### მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს

სოფელ გამარჯვებაში მომხდარი მკვლელობა გახსნილია. თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 51 წლის ანზორ ინასარიძე, 52 წლის იასონ ლობჟანიძე და წარსულში მკვლელობისათვის ნასამართლევი, 49 წლის გოჩა მელიქიშვილი, რომლებმაც ანგარებით, ფულის მისაკუთრების მიზნით, სხეულის დაზიანება მიაყენეს 51 წლის ალბერტ ხმალაძეს, რომელიც ადგილზე გარადაიცვალა. ამოღებულია გატაცებული 27 245 ლარი. გამოძიების მსვლელობისას დადგენილია, რომ გარდაცვლილ ალბერტ ხმალაძეს, გასესხებული ჰქონდა ანზორ ინასარიძისათვის 31 ათასი აშშ დოლარი და 10 800 ლარი. გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 109-ე მუხლით. **მედიანიუსი**

### სემინარები სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომლებისთვის

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის თანამშრომლებისათვის მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით სემინარების ციკლი დაიწყო. როგორც სამოქალაქო რეესტრში აცხადებენ, 20 ივნისიდან 3 ივლისამდე სწავლებას სამოქალაქო რეესტრის ოთხ ჯგუფში განაწილებული 100-მდე თანამშრომელი გაივლის. "სემინარის მონაწილეები მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხებზე საქმის წარმოების წესებს, სამართლებრივ აქტებს დეტალურად გაეცნობიან, პრაქტიკულ სავარჯიშოებს შეასრულებენ. ყურადღება დაეთმობა მოქალაქეობისა და მიგრაციის საქმეების ელექტრონული პროგრამის გამოყენების უნარ-ჩვევების გაძლიერებას," - განმარტავენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში. მათივე ინფორმაციით, ღონისძიების მიზანია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და მოქალაქეთა მომსახურების დონის გაუმჯობესება. **პირველი**

### დეპუტატები 15 ივნისს დაკავებულებს მოინახულებენ

15 ივნისს თბილისის პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის შედეგად დაკავებული და დაზარალებული პირების მონახულებას ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის წევრები ეკა ხერხეულიძე და დიმიტრი ლორთქიფანიძე დღეიდან შეუდგებიან. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ შესაბამის ბრძანებას ხელი მოაწერა. როგორც დეპუტატმა დიმიტრი ლორქიფანიძემ განაცხადა, ხუთი დღის განმავლობაში მან და ხერხეულიძემ წინასწარი დაკავების საკნები უნდა მოინახულონ, სადაც ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები არიან განთავსებული. გარდა ამისა, დეპუტატები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაშიც (გლდანის საგამოძიებო იზოლატორი) შევლენ, სადაც ამჟამად ის პირები იმყოფებიან, რომელთა წინააღმდეგ სისხლის სამარლის საქმეა აღძრული. 15 ივნისს პოლიციის სამმართველოს შენობასთან მომხდარი შეხლა-შემოხლის შედეგად დაზარალებული და დაკავებული პირების მონახულების საკითხი გასული კვირის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დადგა. ამ ადამიანების მონახულების რეკომენდაცია ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა გია არსენიშვილმა დიმიტრი ლორთქიფანიძეს და ეკა ხერხეულიძეს მისცა, რაზეც დავით ბაქრაძისგან თანხმობა მიიღო. **პირველი**

### ლევან გაჩეჩილაძის შვილი დააკავეს

ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ ლევან გაჩეჩილაძის შვილი გიორგი გაჩეჩილაძე პარიზში დააკავეს. ეს ინფორმაცია საფრანგეთში საქართველოს კონსულმა გიორგი თუშმალიშვილმა დაადასტურა. მისი თქმით, გაჩეჩილაძე გუშინწინ დილით დააკავეს და გუშინ გაათავისუფლეს. გავრცელებული ცნობით, ლევან გაჩეჩილაძის შვილი ერთ-ერთ რესტორანში შიდა განაწესის დარღვევის გამო დააკავეს. **მედიანიუსი**

### ირაკლი ხომასურიძეს სახელმწიფოს დაფინანსებით ვენაში მკურნალობენ

6 მაისს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის შედეგად დაშავებულ ირაკლი ხომასურიძეს ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსებით მკურნალობის კურსი ვენაში უტარდება. პოლიციის მთავარ სამმართველოსთან პოლიციასა და არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციის მონაწილეებს შორის მომხდარი ინციდენტის დროს ხომასურიძემ თვალი დაკარგა. ჯანდაცვის სამინისტროს სრული დაფინანსებით ხომასურიძე ავსტრიაში სამკურნალოდ გაემგზავრა და მას ვენაში შესაბამისი მკურნალობა უტარდება. ამასთან, ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, 6 მაისს დაშავებულ ყველა ადამიანს მკურნალობა სამინისტროს სრული დაფინანსებით ჩაუტარდა. 6 მაისს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან ინციდენტი მოხდა, რის შედეგადაც აქციის რამდენიმე მონაწილე დაშავდა. მათ შორის იყვნენ არასაპარლამენტო ოპოზიციონერი ლიდერები, რამდენიმე ჟურნალისტი, პოლიციის თანამშრომლები და სხვა პირები. **პირველი**

# სოფელ მუჟავასთან აფეთქებები გრძელდება

*წალენჯიხის რაიონში, სოფელ მუჟავასთან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის და "მედი ქლაბის" სამედიცინო ავტომანქანასთან მომხდარი აფეთქებიდან მეორე დღეს, იმავე სოფელში ოკუპანტებმა ქართული პოლიციის საგუშაგოს გაუხსნეს ცეცხლი, რის შედეგადაც "კავკასიონის" 500-კილოვატიანი გადამცემი ხაზი აფეთქდა.*

დაზიანებულია 22-ე ანძა. წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავასთან ინციდენტს წინ სროლები უძღოდა. რუსმა ოკუპანტებმა ცეცხლი ქართული პოლიციის საგუშაგოს გაუხსნეს. გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელები ისროდნენ ყუმბარმტყორცნებიდან, რასაც საპასუხო ცეცხლი მოჰყვა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

ინციდენტის შემდეგ, რუსი ოკუპანტები და აფხაზი სეპარატისტები ქართველ სპეციალისტებს "კავკასიონის" დაზიანებული ანძის დასათვალიერებლად ადგილზე არ უშვებდნენ, მუჟავას მოსახლეობის იმ ნაწილს კი, რომელიც ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს ცხოვრობს, სახლების დატოვება მოსთხოვეს.

წალენჯიხის რაიონში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა.

"22 ივნისს, წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში განლაგებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოს ყუმბარმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს რუსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. 4:30 სთ-ზე კი წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავას ტერიტორიაზე "კავკასიონის" 500 კვტ-იანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი ააფეთქეს," - აღნიშნულია შსს განცხადებაში.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა და "საქრუსენერგოს" თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილზე ჩასვლა დღის მეორე ნახევარში მოახერხეს.

"საქრუსენერგოს" დირექტორატის წარმომადგენელ შოთა მაისურაძის განცხადებით, დაზიანებული გადამცემი ხაზის აღდგენა 10-12 დღეში მოხერხდება. "საქრუსენერგოს" დირექტორის ბიძინა ჭყონიას განცხადებით კი, ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით, ექსპორტი საქართველოდან რუსეთის მიმართულებით ხდებოდა. ამიტომ, კომპანია განსაკუთრებულ ზარალს სწორედ ტრანზიტის შეწყვეტის გამო ვარაუდობს.

წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავასთან აფეთქებების სერია გუშინწინ დილით დაიწყო, როცა ორი აფეთქება მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, პირველად ასაფეთქებელი მოწყობილობა სწორედ მაშინ ამოქმედდა, როდესაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ავტომანქანამ გაიარა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია პატრულირებას აწარმოებდა და მას "მედი ქლაბის" სამედიცინო ავტომანქანაც თან ახლდა.

აფეთქება მაშინ მოხდა, როდესაც "მედი ქლაბის" მძღოლი ავთანდილ ახალაძე მანქანიდან გადმოვიდა. იგი მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. აფეთქებისას ექიმი გეგა პატიაშვილი დაშავდა. ამ აფეთქებიდან რამდენიმე წუთში, მეორე აფეთქების ხმაც გაისმა. ევროკავშირის წარმომადგენლებს შორის არავინ დაზიანებულა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ქართულ-გერმანული ჯგუფი კანონის დახვეწაზე იმუშავებს

ელენე მათითაშვილი

*აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას (GTZ) შორის მემორანდუმი გაფორმდა.*

მემორანდუმის თანახმად, გათვალისწინებულია ქართველ და გერმანელ ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის დახვეწაზე იმუშავებს და ასევე, რეკომენდაციებს შეიმუშავებს.

გერმანელი ექსპერტების დახმარებით, ბიუროს თანამშრომლები ტრენინგს (TOT) გაივლიან და ტრენერისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს აითვისებენ, რაც მათ პროფესიონალ ტრენერებად ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. შემდეგ დატრენინგებული პირები ბიუროს სხვა თანამშრომლებს სხვადასხვა თემატურ ტრენინგებს თავად ჩაუტარებენ. თანამშრომლობის ფარგლებში აღმასრულებლებისთვის სამი ტრენინგია დაგეგმილი.

თანამშრომლობის ფარგლებში გამოიცემა კაზუსების წიგნი, რომელშიც აღმასრულებელთა მუშაობიდან პრაქტიკული მაგალითები შევა. აღმასრულებლებს ის პროფესიული გამოცდილების დახვეწაში დაეხმარებათ.

შემუშავდება მოსახლეობის ინფორმირების კონცეფცია, რაც სააღსრულებო სისტემასთან დაკავშირებით მოქალაქეების ინფორმირებულობას უზრუნველყოფს.

აღსრულების ეროვნული ბიუროსა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება GTZ-ს შორის თანამშრომლობა მემორანდუმის გაფორმებამდე დაიწყო - საქართველოს წარმომადგენლები ქალაქ ბრემენში სასწავლო ვიზიტით უკვე იმყოფებოდნენ. ბიუროს სტაჟიორებისთვის (რომლებსაც წარმატებული სტაჟირების შემდეგ, აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმების შესაძლებლობა გაუჩნდათ), იუსტიციის სასწავლო ცენტრში სწავლება ჩატარდა. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის რამდენიმე საექსპერტო დასკვნა მომზადდა და გამოიცა "ნორმატიული აქტების კრებული აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებისთვის".

# ლევან ვეფხვაძე ლევან გოგიჩაიშვილის მონახულების უფლებას ითხოვს

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე "9 აპრილის" ახალგაზრდული შტაბის წარმომადგენლის ლევან გოგიჩაიშვილის მონახულებას აპირებს. პატიმრის ნახვისა და შესაბამის საპატიმრო დაწესებულებაში შესვლაზე თანხმობის მიცემის თხოვნით მან ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს მიმართა.

როგორც ვეფხვაძემ განაცხადა, ბოლო პერიოდში მედიასაშუალებების მეშვეობით გოგიჩაიშვილის ოჯახის წევრებთან დაკავშირებით მძიმე სიტუაცია შეიქმნა, რადგან მისი უფროსი ძმა გამოაცხადეს ასლან აბაშიძის შვილის კრიმინალური დაჯგუფების წევრად, მეორე ძმა კი - განგსტერად.

"2005 წელს, როცა შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელ მოადგილეს შევხვდი, პირად საუბარში მითხრა, რომ ლევან გოგიჩაიშვილის ძმა სულ სხვა მიზეზის გამო იყო დაჭერილი, მაგრამ რადგან მისთვის ამ მიზეზის დამტკიცება არ ხერხდებოდა, იარაღი ჩაუდეს," - განაცხადა ვეფხვაძემ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე.

მან შს მინისტრის მოადგილის ვინაობა არ დააკონკრეტა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ "მაშინ მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი იყო."

"ლევან გოგიჩაიშვილის დაკავების საქმეში ყველაზე მთავარი ისაა, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება ეფუძნება იმ ადამიანის ჩვენებას, რომელსაც, თავის მხრივ, წაყენებული ჰქონდა ბრალი 260-ე მუხლის მესამე ნაწილით (საუბარია ნარკოტიკული ნივთიერებების დიდ ოდენობაზე) და რომელიც 2 ათას ლარიანი საპროცესო გარიგებით გამოუშვეს. ჩემთვის უცნობია პრეცედენტი, როცა ამგვარი დანაშაულისთვის ადამიანი გარეთ გამოეშვათ, ეს კი გარკვეულ ეჭვებს აჩენს," - აღნიშნა ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარისას ლევან ვეფხვაძემ.

ლევან გოგიჩაიშვილი სამართალდამცველებმა 17 ივნისს დააკავეს. მას 8 ივნისს ირინა ბათიაშვილის დაბადების დღის შემდეგ მომხდარ ინციდენტში მონაწილეობა და დავით ლეჟავასთვის სხეულის განზრახ დაზიანება წაუყენეს ბრალად. საქალაქო სასამართლომ გოგიჩაიშვილს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

*პირველი*

# იუშჩენკოს მოწამვლის ფაქტზე ვლადიმირ პუტინის დაკითხვა იგეგმება

უკრაინის გენერალური პროკურატურა პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს მოწამლვის ფაქტზე რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმირ პუტინის დაკითხვას გეგმავს. უკრაინის გენპროკურატურის უფროსი გამომძიებლის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებში, გალინა კლიმოვიჩის განცხადებით, რომელიც ვიქტორ იუშჩენკოს მოწამლვის საქმეს ხელმძღვანელობს, რუსეთისა და უკრაინის გენპროკურატურების საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობის ფარგლებში აღნიშნულ საქმეზე რუსეთის პრემიერის ვლადიმირ პუტინის დაკითხვა იგეგმება. იუშჩენკოს მოწამლვის ფაქტზე უკვე არაერთი ადამიანი დაიკითხა, მათ შორის - დეპუტატები, მთავრობის წევრები და სპორტსმენები. თავად იუშჩენკომაც აღნიშნულ ფაქტზე ჩვენება არაერთხელ მისცა. ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რუსეთის პრემიერის აპარატის კომენტარი ასეთია: "თუ ასეთი იურიდიული მოქმედებები იქნება, შესაძლოა, რაიმე კომენტარი გავაკეთოთ, ჯერჯერობით კი რაიმე სახის დოკუმენტი არ მიგვიღია," - განაცხადა პუტინის პრეს-მდივანმა დიმიტრი პესკოვმა. პრეზიდენტობის კანდიდატი ვიქტორ იუშჩენკო დიოქსინით 2004 წლის 5 სექტემბერს მოიწამლა.

*პირველი*

# ტერაქტი ინგუშეთში - პროცესის კულმინაცია

პირველი გვერდიდან

დაღუპულებისა და დაჭრილების შესახებ გუშინ მთელი დღის განმავლობაში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდებოდა, მათ შორის თითქოს კარგად ინფორმირებულ ცენტრალურ და ადგილობრივ რუსულ საიტებზეც კი. თავიდან გავრცელდა ინფორმაცია ოთხი დაღუპულისა და ხუთი დაჭრილის შესახებ. დაღუპულებს შორის ასახელებდნენ პრეზიდენტის ძმას უვაის ევკუროვსაც. შემდეგ დაღუპულთა რიცხვი შემცირდა და ლაპარაკი იყო ორ ადამიანზე - პრეზიდენტის მცველსა და მძღოლზე. ზოგი ინფორმაციით, მცველი ადგილზე დაიღუპა და მძღოლი მიყენებული ჭრილობებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა, ზოგ ინფორმაციაში კი პირიქით იყო ნათქვამი. ბოლო ინფორმაციით, დაღუპულია მხოლოდ მცველი, მძღოლი კი მძიმე მდგომარეობაშია. აღმოჩნდა, რომ თავდასხმისთვის გამოყენებული მანქანა მოსკოვში იყო გატაცებული.



ტერაქტის შედეგად ევკუროვის დაჯავშნული მერსედესი თითქმის მთლიანად განადგურდა.

AFP ' 2009

პრეზიდენტ ევკუროვს და მის თანმხლებ პირებს სასწრაფო ოპერაცია ადგილზე ჩაუტარდათ, შემდეგ კი ისინი საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს სპეციალური თვითმფრინავით მოსკოვში გადაიყვანეს. პრეზიდენტს ნამსხვრევები თავში, სხეულზე და თირკმელში მოხვდა. როდის გამოსწორდება პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, გაურკვეველია, მაგრამ როგორც ექიმები აცხადებენ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ გადარჩა მისი ძმაც.

პრეზიდენტის მოვალეობებს დროებით შეასრულებს მთავრობის თავმჯდომარე რაშიდ გაისანოვი.

რუსეთის ხელმძღვანელობა, პრეზიდენტ მედვედევიდან დაწყებული და დეპუტატებითა და სამართალდამცავებით დამთავრებული, ევკუროვზე განხორციელებულ ტერაქტს პირდაპირ უკავშირებს მის სამსახურებრივ საქმიანობას. უფრო ზუსტად - აქტიურ ბრძოლას კორუფციასა და იატაკქვეშა შეიარაღებულ ფორმირებებთან. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სამი მუხლით: სახელმწიფო მოღვაწის სიცოცხლის ხელყოფა, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიცოცხლის ხელყოფა და იარაღის უკანონო შენახვა და გამოყენება. ნაზრანის რაიონში შემოღებულია კონტრტერორისტული ოპერაციის რეჟიმი. შესაძლოა, ის მთელ ინგუშეთზეც გავრცელდეს, თუმცა ამას, რუსი სამართალდამცავების აზრით, სერიოზული განხილვა სჭირდება. ასეთი რეჟიმი მათ ჩეჩნეთში ორი თვის წინათ გააუქმეს და დღეს მისი ინგუშეთში შემოღება პოლიტიკურად მთლად მიზანშეწონილად არ ეჩვენებათ. გააჩნია, რა სიძლიერის პასუხის გაცემას გადაწყვეტენ. დმიტრი მედვედევი ბოევიკებს მკაცრი და სასწრაფო ანგარიშსწორებით დაემუქრა. ევკუროვის სრული მხარდაჭერა გამოხატა მეზობელი ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმაც, რომელიც პრეზიდენტ მედვედევს ტერორისტებთან ბრძოლის გააქტიურებას დაჰპირდა. ტერორისტული აქტი, საქმეში ჩახედული ანალიტიკოსების აზრით, ნამდვილად არ არის ერთი კაცის მომზადებული და შეიძლება იატაკქვეშა შეიარაღებული ფორმირებებისა და ადგილობრივი კორუმპირებული სახელისუფლებო წრეების "თანამშრომლობის" შედეგს წარმოადგენდეს.

ინგუშეთის პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტს არავინ განიხილავს, როგორც ცალკე აღებულ ფაქტს. ბოლო პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, ძალიან გახშირდა ხელისუფლების წარმომადგენლებზე, განსაკუთრებით სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებზე თავდასხმები. მხოლოდ ინგუშეთში, ამ თვეში, 10 ივნისს მანქანაში ჩაცხრილეს ინგუშეთი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე აზა გაზგირეევა; 13 ივნისს კი - ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბაშირ აუშევი. გარდა ამისა, ერთი კვირის წინ მოკლეს დაღესტნის შინაგან საქმეთა მინისტრი ადილგერ მაგომედტაგიროვი. ბევრი იყო უფრო დაბალი რანგის ადგილობრივი სამართალდამცავების მკვლელობის შემთხვევა. თუმცა ვალში არც რუსი ფედერალური ძალები რჩებიან და ბოლო პერიოდში საპასუხო ლიკვიდაციებიც განხორციელდა, მათ შორის ყველაზე სერიოზული დოკუ უმაროვის მიმართ, რომლის დაღუპვაც ჯერ ვერ დასტურდება. ევკუროვის აფეთქება, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, მხოლოდ ამ პროცესის კულმინაციაა.

ამ თემაზე კომენტარი ვთხოვეთ ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს. იგი მიიჩნევს, რომ ეს პროცესი დღეს არ დაწყებულა. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებები ჩრდილოეთ კავკასიის მთელ აღმოსავლეთ ნაწილში ფართომასშტაბიან შეტევაზე აპირებდნენ გადასვლას და მხოლოდ საზაფხულო სეზონის დაწყებას ელოდებოდნენ, მაგრამ გულხელდაკრეფილები არც ფედერალური ძალები ისხდნენ და შეტევა მათ დაასწრეს. ამიტომ არალეგალებს ტაქტიკის შეცვლა მოუწიათ და ტერაქტებზე გადავიდნენ. აქამდე მხოლოდ პოლიციის რაიონულ ორგანოებს "უტევდნენ" და ბოლოს მაღალი რანგის მოხელეებს მიადგნენ. სხვათა შორის, ადრე ევკუროვის წინამორბედ მურატ ზიაზიკოვსაც დაესხნენ თავს, თუმცა იგი გადარჩა და მხოლოდ მცველები დაიღუპნენ. მანამდე ფედერალურმა ძალებმა მოკლეს ანზორ ასტემიროვი - ჩრდილოეთ კავკასიის შარიათის სასამართლოს თავმჯდომარე. ზოგი ინფორმაციით, ლიკვიდირებულია დოკუ უმაროვიც - კავკასიური იმარატის ხელმძღვანელი. მაგრამ სხვა სანდო ინფორმაციით, უმაროვი მხოლოდ დაჭრილია და მას თანამებრძოლები მალავენ. არ არის გამორიცხული საპასუხო დარტყმების განხორციელება ფედერალური ძალების მხრიდან.

მამუკა არეშიძე ახლო მომავალში სიტუაციის დამძიმებასაც არ გამორიცხავს, განსაკუთრებით დაღესტანში. საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი და დაბალია მოსახლეობის სოციალური დონე, რაც ხელს უწყობს არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებებისა და მაფიის შესაბამისი სტრუქტურების "კადრებით უზრუნველყოფას". მაფია ხშირად იყენებს წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებს ერთმანეთთან ანგარიშსწორებისთვის, დაღესტანში ამას ემატება ეთნიკური დაპირისპირებაც და ზოგი სოფელი თუ რაიონი ცენტრალურ ხელისუფლებას მხოლოდ ფორმალურად ემორჩილება. მამუკა არეშიძის განცხადებით, **"ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებში ძნელი სათქმელია, სად მთავრდება ხელისუფლება და სად იწყება წინააღმდეგობის მოძრაობა." თუმცა** მისი აზრით, ჯერჯერობით არ ჩანს იმ მასშტაბის წინააღმდეგობა, რომ რუსეთს ამ პროცესში არმიის ჩართვა დასჭირდეს. ე.წ. წმენდისთვის, ალბათ, შინაგანი ჯარები და სპეცრაზმებიც ეყოფა, თუმცა დარწმუნებით რაიმეს თქმა ძნელია.

# "ალ-ქაიდა" ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრება

ხათუნა ბაბიევი

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" თანახმად, ავღანეთში ტერორისტული ორგანიზაცია "ალ-ქაიდას" ლიდერმა მუსტაფა აბუ ალ-იაზიდმა, იგივე აბუ საიდ ალ-მასრიმ, საკმაოდ შემაშფოთებელი განცხადება გააკეთა, თანაც - არა მარტო შეერთებული შტატებისთვის. ტელეარხ "ალ-ჯაზირასთან" კვირას მიცემულ ინტერვიუში ალ-მასრიმ განაცხადა, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში "ალ-ქაიდა" პაკისტანის ბირთვულ იარაღს ამერიკის შეერთებული შტატების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს.

პაკისტანის ხელისუფლება მიმდინარე წლის გაზაფხულიდან მოყოლებული ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე სვატის პროვინციაში "თალიბების" წინააღმდეგ გამძაფრებულ ბრძოლებს აწარმოებს. ექსპერტებს კი ფრიად საგანგაშოდ მიაჩნიათ პაკისტანის ხელთ არსებული ბირთვული იარაღი - იგი შეიძლება ბოევიკთა განკარგულებაში აღმოჩნდეს, რადგან, როგორც პაკისტანის რეგულარული არმიის ქმედებებმაც ცხადყო, სამხედროებს არ ძალუძთ თალიბების იერიშების ეფექტიანად მოგერიება.

მუსტაფა აბუ ალ-იაზიდმა გამოთქვა იმედი, რომ "ღვთის შეწევნით" ბირთვული იარაღი "ალ-ქაიდას" ჩაუვარდება ხელში და შეძლებს მის გამოყენებას ამერიკელთა წინააღმდეგ.

**"ჩვენ ველით, რომ პაკისტანის არმია დამარცხდება სვატის პროვინციაში,"** - განაცხადა ტერორისტული ორგანიზაციის ავღანური ქვედანაყოფის მეთაურმა.

აბუ ალ-იაზიდის თქმით, "ალ-ქაიდას" უმთავრესი მიზანი კვლავ "ტირანიის ჰიდრას" - ამერიკის შეერთებული შტატების დამარცხებაა. მისი აზრით, ეს შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქანცგამწყვეტი ბრძოლების რეგიონში, სადაც ამჟამად ბოევიკთა ბაზები მდებარეობს, ასევე წინააღმდეგობის ახალი ფრონტების გახსნის არეალშიც.

აბუ ალ-იაზიდი თანამებრძოლებს ამერიკელი მტრის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ოპერაციის გაგრძელებას დაჰპირდა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში "ალ-ქაიდას" დაჯგუფებას, რომელსაც ამჟამად არაბეთის ნახევარკუნძულზე აქვს ბაზა, ახალი ლიდერი ბაშირ აბუ ალ-ვახაიაში ეყოლება, რომლის ამოცანაც საუდის არაბეთში აქტიური მოქმედებების განახლებაა.



აბუ ალ-იაზიდის თქმით ბინ ლადენი და ალ ზავაჰირი უსაფრთხო ადგილას იმყოფებიან

ბოევიკთა ლიდერის განცხადებით, ასევე შესაძლებელია ისიც, რომ "ალ-ქაიდა" ოფიციალურ ვაშინგტონთან 10 წლის ვადით დაზავდეს - იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა თავის ჯარებს მუსლიმური ქვეყნებიდან გაიწვევს და ისრაელისა და ისლამური ქვეყნების პროდასავლური მთავრობების მხარდაჭერას შეწყვეტს.

"ალ-ქაიდას" პირველი პირების ადგილსამყოფელის შესახებ დასმულ კითხვაზე აბუ ალ-იაზიდმა უპასუხა, რომ მტრებს, ღვთის წყალობით, "შეიხ უსამაზე" (უსამა ბინ ლადენი) და შეიხ აიმან ალ-ზავაჰირიზე ხელი არ მიუწვდებათ და ისინი უსაფრთხო ადგილზე იმყოფებიან.

**"ჩვენ არ ვიცით მათი ადგილსამყოფელი, მაგრამ მათთან განუწყვეტელი კონტაქტი გვაქვს,"** - განაცხადა აბუ ალ-იაზიდმა ინტერვიუში.

მიმდინარე წლის თებერვალში პაკისტანის ხელისუფლება პროთალიბურ დაჯგუფებებს ქვეყნის ჩრდილო-დასავლურ რაიონებში შარიათის კანონების ამოქმედებას დაჰპირდა სამხედრო ქმედებების შეწყვეტის სანაცვლოდ. თებერვლის ბოლოს მართლაც შეწყდა შეტაკებები პაკისტანის არმიასა და ბოევიკებს შორის. თუმცა, თალიბებმა სვატის ხეობაში ცეცხლის შეწყვეტისა და შარიათის ნორმების ამოქმედების შესახებ შეთანხმება ჩრდილო-დასავლეთ სასაზღვრო პროვინციებში პროსამთავრობო ადგილობრივი ხელისუფლების ჩამოსაგდებად გამოიყენეს. მაისის დასაწყისში კი პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა იუსუფ რაზა გილანიმ სამხედროებს ბოევიკთა განადგურება უბრძანა. ანტიტერორისტული ოპერაციისა და სამთავრობო ჯარებთან ბოევიკების შეტაკებისას, დაახლოებით, 360 ათასმა პაკისტანელმა დატოვა საკუთარი სახლი.

# თეირანი 2009 - ათასობით პოლიციელი დედაქალაქის ქუჩებში

მარიკა იაშვილი

ირანის ხელისუფლებამ თეირანის ქუჩებში უსაფრთხოების სამსახურის რამდენიმე ათასი თანამშრომელი გაიყვანა.

კვირა დღემ დედაქალაქში ქუჩის აქციების გარეშე ჩაიარა. თუმცა შაბათს მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა, რომლის დროსაც სამართალდამცავებთან შეტაკების შედეგად, ოფიციალური ინფორმაციით, 10 ადამიანი დაიღუპა.

თვითმხილველთა თქმით, პოლიცია მანიფესტაციის დასაშლელად ხელკეტებს, წყლის ჭავლსა და ცრემლსადენ გაზს იყენებდა. აქციის ორგანიზატორთა მორიგი დაკავებების შესახებაც ვრცელდება ინფორმაცია.

აქციების პარალელურად გრძელდება და კიდევ უფრო მკაცრდება ზეწოლა პრესაზე. ირანის ხელისუფლება მოითხოვს, რომ მასობრივი ინფორმაციის უცხოური საშუალებების კორესპონდენტებმა ქვეყანა დაუყოვნებლივ დატოვონ. მაგალითად, ბრიტანული სამაუწყებლო კომპანია "ბი-ბი-სი"-ს მუდმივ კორესპონდენტს ირანში ჯონ ლეინს ქვეყნიდან გასამგზავრებლად 24 საათი მისცეს.

ეს მოთხოვნა მას შემდეგ გაჟღერდა, რაც ირანის სახელმწიფო ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ არეულობის დროს 10 ადამიანი გარდაიცვლა, ხოლო 100-ზე მეტი დაიჭრა.

შაბათის დემონსტრაციების დროს 457 ადამიანი დააკავეს. მთავარი შეტაკებები აზადის მოედანზე მოხდა. ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, შეტაკებების დროს, დემონსტრანტების გარდა, 40 სამართალდამცავიც დაიჭრა. დაზიანებულია 34 სამთავრობო შენობა.

თავდაპირველი მონაცემებით, არეულობის დროს 20 ადამიანი გარდაიცვალა, თუმცა მოგვიანებით ეს ციფრი შეიცვალა. ზოგი საინფორმაცია საშუალება ახლაც 13-19 გარდაცვლილზე საუბრობს.

დაკავებულთა შორის მხოლოდ ოპოზიციის წევრები არ არიან. ორგანიზაციის "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" მონაცემებით, გასული კვირის განმავლობაში ირანის დედაქალაქში 23 ირანელი ჟურნალისტი და ბლოგერი დააკავეს. განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მოექცნენ ბრიტანელი ჟურნალისტებიც, რადგან ირანის ხელისუფლება აქციების ორგანიზატორად სწორედ ბრიტანულ სპეცსამსახურებს მიიჩნევს.

ირანული მასმედიის ცნობით, ამ დროისთვის თეირანში სიმშვიდეა. პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დედაქალაქში საბოლოოდ აღდგენილია წესრიგი.



ირანში დღეს არსებულ სიტუაციას 1979 წლის ისლამისტური რევოლუციის შემდეგ ყველაზე სერიოზულ შიდა კონფლიქტად მიიჩნევენ.

საპროტესტო აქციები ირანში მას შემდეგ დაიწყო, რაც ოპოზიციის მომხრეები 12 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს არ დაეთანხმნენ. ოფიციალური მონაცემებით, საარჩევნო მარათონში ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

ბევრი ანალიტიკოსი და პოლიტოლოგი ირანში დღეს არსებულ სიტუაციას 1979 წლის ისლამისტური რევოლუციის შემდეგ ყველაზე სერიოზულ შიდა კონფლიქტად მიიჩნევს.

უცხოელი რეპორტიორები აცხადებენ, რომ პრესის მუშაობაზე ასეთი შეზღუდვა არასდროს არც ერთ ქვეყანაში, არც ერთი რეჟიმის პირობებში არ ყოფილა. შეზღუდვების დაწესების შემდეგ ჟურნალისტებს თავიანთი ოფისების დატოვება აეკრძალათ.

"ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტი ოფიციალურმა თეირანმა მოვლენების არაობიექტურად გაშუქებასა და სახელმწიფოს საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა, რის გამოც ქვეყნის დატოვება უბრძანა, თუმცა ტელეკომპანიის ბიუროს ქვეყანაში მუშაობის გაგრძელების ნება მისცა.

ჯონ ლეინისგან განსხვავებით, რომლის შემთხვევაში ირანის ხელისუფლებამ განმარტა თავისი უკმაყოფილების მიზეზი, ყოველგვარი მოტივის გარეშე დააკავეს ჟურნალ "ნიუსვიქის" თანამშრომელი მაზიარა ბაჰარი - გამოცემის კანადელი ჟურნალისტი.

ჟურნალის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ის "ბრალის წაყენების გარეშე" დააკავეს და მას შემდეგ მის შესახებ არაფერია ცნობილი.

"ნიუსვიქი" ირანის ხელისუფლებას ბაჰარის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას სთხოვს.

არ არის გამორიცხული, რომ მასობრივი დაპატიმრებები და ჟურნალისტებზე ზეწოლა მომავალშიც გაგრძელდეს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ თეირანში ახლა სიმშვიდეა და ირანის უმაღლესი ლიდერი აიათოლა ალი ჰამენეი საპროტესტო აქციების შეწყვეტას ითხოვს, მანიფესტაციები, სავარაუდოდ, მიმდინარე კვირაში კვლავ განახლდება.

ოპოზიციის ლიდერმა მირ ჰოსეინ მუსავიმ მომხრეებს მოუწოდა, მისი დაკავების შემთხვევაში საერთო ეროვნული გაფიცვა მოაწყონ. მან მხარდამჭერებს მშვიდობიანი მანიფესტაციების გაგრძელებისკენაც მოუწოდა და განაცხადა, რომ ირანის კონსტიტუცია ამის ნებას იძლევა. მუსავიმ ხელისუფლება მისი მხარდამჭერების მასობრივი დაპატიმრებისთვის კიდევ ერთხელ გააკრიტიკა.

გავრცელებული ინფორმაციით, ირანის ექს-პრეზიდენტ ალი აკბარ ჰაშემ რაფსაჯანის ქალიშვილი და მისი რამდენიმე ნათესავი უკვე გათავისუფლებულები არიან. ფაეზახ რაფსაჯანი და მისი ოჯახის ოთხი წევრი კვირას საპროტესტო აქციებში მონაწილეობისთვის დააკავეს. რაფსაჯანის ქალიშვილი ირანის მოქმედი პრეზინდეტის წინააღმდეგ მიმართულ აქციებზე მუსავის მხარდამჭერების წინაშე სიტყვით გამოდიოდა.

ირანის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ექს-პრეზიდენტის ნათესავები ქუჩაში "საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წაქეზებისა და შთაგონებისთვის გამოვიდნენ."

მოსალოდნელია, რომ დიდი პოლიტიკური ავტორიტეტის მქონე რაფსაჯანი, რომელიც მიღებულ გადაწყვეტილებათა მიზანშეწონილობის შემფასებელთა საბჭოს (ექსპერტთა ჯგუფს) ხელმძღვანელობს, უახლოეს დღეებში საზოგადოებას ისლამისტურ რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური კრიზისის მოგვარების შესახებ ინიციატივებს გააცნობს.

### 50 საარჩევნო უბანზე მომხდარი დარღვევები უმნიშვნელოდ აღიარეს

ირანის კონსტიტუციის დამცველთა საბჭოს ოფიციალური წარმომადგენელი აბას ალი კადჰოდაი აღიარებს, რომ 12 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნების დროს საარჩევნო უბნებზე შესული ხმების რიცხვი უფრო მეტი იყო, ვიდრე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რეალური რაოდენობა - დარღვევა 50 საარჩევნო პუნქტზე დაფიქსირდა.

ამავდროულად, მან აღნიშნა, რომ ამ ფაქტს "დიდი გავლენა არ ექნება არჩევნების საბოლოო შედეგზე," რომლის მიხედვითაც გამარჯვება მოქმედმა პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა მოიპოვა.

კადჰოდაი აცხადებს, რომ აღნიშნული დარღვევების გამო საბჭოს საჩივრით რამდენიმე ოპოზიციონერმა კანდიდატმა მიმართა. თუმცა, მისივე განცხადებით, წინასწარმა გამოძიებამ აჩვენა, რომ მათ მიერ დასახელებული ციფრი - 170 საარჩევნო უბანი - არასწორია და რეალურად დარღვევა მხოლოდ 50-ზე მოხდა.

კადჰოდაის თქმით, შესაბამის შემოწმებას ადგილებზე ინსპექტორები ჩაატარებენ. **"საკამათო რეგიონებში სულ 3 მილიონი ხმაა დათვლილი და ამას არჩევნების საბოლოო შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება,"** - დაამატა მან.

ამავე დროს, ირანის ოპოზიციის ლიდერი, რომელმაც ოფიციალური მონაცემებით, არჩევნები გამარჯვებულ კანდიდატთან დიდი სხვაობით წააგო, თავის მხარდამჭერებს საპროტესტო მანიფსტაციების გაგრძელებისკენ მოუწოდებს.

ოპოზიციის ლიდერი მირ ჰოსეინ მუსავი თავის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნავს, რომ არჩევნებზე მომხდარი "დარღვევებისა და სიცრუის" გასაკრიტიკებლად აქციების ჩატარება ირანის ყველა მოქალაქის უფლებაა.

ამავდროულად, მუსავიმ მანიფესტანტებს მოუწოდა, თავი აარიდონ წესრიგის დამცველებთან შეტაკებების პროვოცირებას. მისი აზრით, თუ დემონსტრაციები მშვიდობიანი იქნება, პოლიციელები ოპოზიციის მომხრეების წინააღმდეგ ძალას აღარ გამოიყენებენ.

### მოჰამედ ჰათამის ინიციატივა

ოპოზიციის ლიდერის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი, ირანის ყოფილი პრეზიდენტი მოჰამედ ჰათამი ორშაბათს გამოვიდა ინიციატივით, შეიქმნას "ნეიტრალური ორგანო, რომელიც 12 ივნისს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ობიექტურად შეაფასებს."

ჰათამი მიიჩნევს, რომ ისლამისტური რესპუბლიკის უმაღლესი ლიდერის აიათოლა ალი ჰამენეის გადაწყვეტილება - დამარცხებულ კანდიდატთა საჩივრების განხილვა კონსტიტუციის დამცვლეთა საბჭოს დაევალოს, არასწორია. ექს-პრეზიდენტის თქმით, ეს ინსტანცია "ნეიტრალური არ არის."

ჰათამი განმეორებითი გარდაუვლად მიიჩნევს **"სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას, რომელსაც დამოუკიდებელი დამკვირვებლები დაესწრებიან."** მისი აზრით, მუსავის მომხრეთა მოთხოვნები **"კანონიერია, რადგან ეს არის ხალხის ხმა, რომელიც ტყუილს არ მიიღებს."** ექს-პრეზიდენტი ხელისუფლების მიერ დაკავებულ დემონსტრანტთა "დაუყოვნებლივ გათავისუფლების" მოთხოვნით კიდევ ერთხელ გამოვიდა.

# უნებლიეთ ნაჩუქარი კუნძული

## რუსული მიწის ნაწილი ესტონეთისკენ მიიწევს

ესტონურ გაზეთ "სევერნოე პობერეჟიეს" თანახმად, ესტონეთის სანაპიროსთან რუსეთიდან მასიური ტყის საფარით დაფარული, დაახლოებით, 4 ჰექტარის ფართობის კუნძული მიცურდა. რუსულ ტერიტორიას ნაწილი ნარვის წყალსაცავში მოსწყდა, სადაც ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი გადის. ესტონეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის სასაზღვრო რაიონის შტაბის უფროს ვალერი კივისელგის განმარტებით, "ნარვის წყალსაცავში რუსულ მხარეს რამდენიმე მცურავი კუნძულია."

**"წელს წყლის დონის მომატების გამო კუნძულებმა გადაადგილება დაიწყეს,"** - თქვა კივისელგმა.

ყველაფერი კი ასე მოხდა: დაახლოებით, სამი კვირის წინ ესტონეთის საზღვრის დაცვის რადარმა უზარმაზარი ობიექტის გადაადგილება დააფიქსირა. ობიექტი ივანგოროდის ჰიდროელექტროსადგურის მიმართულებით მოძრაობდა. სპეციალისტებმა სარქველების გახსნა მოასწრეს და კუნძულმაც, რომელიც თავდაპირველი შეფასებით 6 ათასი კვადრატული მეტრის ფართობის იყო, მდინარე ნარვა გადაცურა და ზღვამდე მივიდა. ნარვის წყალსაცავში მდებარე კუნძულის დიდი ნაწილი - დაახლოებით, 4 ჰექტარი მთლიანად მასიური ტყის მასივითაა დაფარული.

პარასკევს, 19 ივნისს კუნძული ესტონეთის მხარეს შეჩერდა, მაგრამ მალევე ძლიერი ქარის გამო კვლავ დაიწყო გადაადგილება. კივისელგის თქმით, კუნძული ასე გადაადგილებას კვლავ გააგრძელებს.

აღსანიშნავია, რომ მოცურავე კუნძულის სამომავლო გადაადგილების მარშრუტის პროგნოზირება ვერც ესტონურმა და ვერც რუსულმა მხარეებმა ვერ შეძლეს, მაგრამ არსებობს სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ ამ უზარმაზარმა მოცურავე კუნძულმა შესაძლოა, მდინარე ნარვაზე არსებული ნაგებობები დააზიანოს.

რუსი მესაზღვრეების განცხადებით, ემიგრირებული კუნძულების არსებობა სტანდარტული ვითარებაა და არც ეს არის პირველი შემთხვევა.

**"ნარვის წყალსაცავში ათზე მეტი კუნძული დაცურავს, მაგრამ მათი ზუსტი რაოდენობა არავის დაუთვლია. კუნძულები გამუდმებით გადაადგილდება. ახლანდელი შემთხვევა გამოირჩევა მხოლოდ იმით, რომ კუნძულის ფართობი დიდია და ნარვის ჰიდროელექტროსადგურთან მიცურდა. საზღვრის დაცვის თვალსაზრისით კუნძული საინტერესო არ არის: მასზე არც ცხოვრებაა შესაძლებელი და არც დროებით გაჩერება. ასე რომ, მისი კონტრაბანდის გადასატანად გამოყენება შეუძლებელია,"** - აღნიშნა რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების ბიუროს სასაზღვრო განყოფილების პრესამსახურის უფროსმა პეტერბურგის ოლქში მარინა პოდერნოვამ.

ქარის გაძლიერების შემთხვევაში, თუკი კუნძულის მიახლოება სერიოზულად დაემუქრება ესტონეთის მხარეს არსებულ ნაგებობებს, ესტონეთი მის "დანაწევრებას" გეგმავს. თუმცა, არც ის არის ცნობილი, დანაწევრებული კუნძულის ნაწილები ფინეთის ყურეში ავტო და სარკინიგზო ხიდებს ხომ არ დააზიანებს.

ნარვის კორდონის უფროს რეინ სტეინფელდის თქმით, ბოლო ათი წლის განმავლობაში ნარვის წყალსაცავში არსებული კუნძულების ესტონეთის მხარეზე გადაცურვის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

# რევიუ

## ბერძნები და ბრიტანელები დავობენ

### ათენში აკროპოლისის მუზეუმი გაიხსნა

Nature-სა და New Scientist-ის რამდენიმე ნომერი მიეძღვნა ბრიტანეთის მუზეუმის რესტავრატორის "აღმოჩენას, რომელმაც საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მარმარილოს ქანდაკებები, რომლებიც ოდესღაც პართენონს ამშვენებდა, მოხატული იყო. ეს ინფორმაცია მაშინ გავრცელდა, როდესაც საბერძნეთის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გაილაშქრა ბრიტანელების წინააღმდეგ მოთხოვნით ქანდაკებები მათი ისტორიული სამშობლოსთვის დაებრუნებინათ. ეს ფაქტი ათენში ახალი აკროპოლისის გახსნასაც დაემთხვა. ასე რომ, ბერძნული კულტურული მემკვიდრეობის საკითხი ახლა განსაკუთრებით აქტუალურია და ამაზე ბევრს საუბრობენ.



იმის შესახებ, რომ არქაული და კლასიკური ბერძნული ქანდაკებები მკვეთრი ფერებით იყო მოხატული, ევროპელმა ხელოვნების მოყვარულებმა, დაახლოებით, XVIII და XIX საუკუნეებში გაიგეს და გაოცდნენ. XIX საუკუნეში კი, როდესაც ერთიმეორეს მიყოლებით ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები დელფოსში, ეპიდავროსში და ათენში, გამოირკვა, რომ ანტიკური ტაძრები თოვლივით თეთრი არ ყოფილა, იმ დროს მშენებლები აქტიურად "აფერადებდნენ" როგორც არქიტექტურულ დეტალებს (მაგალითად, კარნიზებსა და კოლონნათა კაპიტელებს), ასევე, სკულპტურულ რელიეფებს, რომლებიც შენობებს ალამაზებდნენ.

ხელოვნებათმცოდნეებმა თავიდანვე ივარაუდეს, რომ კლასიკური არქიტექტურის მარგალიტი, პართენონი, ერთ დროს მოხატული იყო, მაგრამ ამის დამტკიცება დიდხანს ვერავინ შეძლო. XIX საუკუნის დასაწყისში, ბრიტანეთიდან ოსმალეთში მივლინებული ლორდ ელგინომის მიერ ათენიდან გატანილ ქანდაკებებს ამ საკითხისთვის ნათელი უნდა მოეფინა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. საყურადღებოა ისიც, რომ 1930-იან წლებში ბრიტანეთის მუზეუმში ექსპონირებული ქანდაკებების გამოკვლევა ვილაცას კი არ მიანდეს, არამედ სახელგანთქმულ ფიზიკოსს - მაიკლ ფარადეუს. თუმცა, იმ დროს არსებული ტექნოლოგიები საკმარისი არ აღმოჩნდა იმასათვის, რომ მარმარილოზე საღებავის კვალი აღმოეჩინათ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ XIX ს-ში ჯერ კიდევ არ იცოდნენ თუ როგორ უნდა გაეწმინდათ მარამარილო მასზე საუკუნეების განმავლობაში შემორჩენილი მტვერისა და ჭუჭყისაგან. ასე რომ, თუ რაღაც კიდევ იყო მათზე დარჩენილი, შეეძლოთ ისე ჩამოერეცხათ, რომ ამისთვის ყურადღება არ მიექციათ.

2009 წლის 15 ივნისს სამეცნიერო ჟურნალებში წერდნენ, რომ ჯოვანი ვერიმ, ბრიტანეთის მუზეუმის რესტავრატორმა, პართენონიდან წამოღებულ ნიმუშებზე მაინც მოახერხა აღმოეჩინა ეგვიპტური "ლურჯი" - უძველეს და ადრეულ შუასაუკუნეებში პოპულარული მინარალური პიგმენტი. ეს მან "ინფრაწითელი კამერის" დახმარებით შეძლო. ქალღმერთ ირიდას ქანდაკების გარდა, მსგავსი პიგმენტები კიდევ ორ ნამუშევარზე იყო. ამის შესახებ რესტავრატორმა უმალ ახარა ბერძენ კოლეგებს, რომლებიც პართენონის იმავე ფრაგმენტებზე მუშაობენ ათენში რომ ინახება. ბერძნებმა ბრიტანელებს აცნობეს, რომ ცოტა ხნის წინათ ჩატარებული გამოკვლევებისას მათაც მიაქციეს ყურდღება მარმარილოს ჭრილებში არსებულ მომწვანო ნაწილაკებს, რომლებიც, შესაძლოა, სწორედ ლურჯი პიგმენტის ნარჩენები იყოს. თუმცა, მათი ვარაუდის დამტკიცება ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგანაც აღნიშნული ქანდაკებების გამოსაკვლევად ბრიტანელ სპეციალისტებს არ უშვებენ. ალბათ, პოლიტიკური მოსაზრებებით.

ბერძნები ლორდ ელგინის საქციელს ქურდობას უწოდებენ და ათენიდან თურქების ბატონობისას წაღებული ნამუშევრების დაბრუნებას კატეგორიულად მოითხოვენ, მაგრამ ბრიტანელები მათი ულტიმატუმების დაკმაყოფილებას, როგორც ჩანს, არ აპირებენ და მიიჩნევენ, რომ ლორდ ელგიონს ბერძნების მემკვიდრეობისთვის ზიანი არ მიუყენებია, "მან მხოლოდ შეაგროვა ქანდაკებები, რომლებიც მიწაზე ჯერ კიდევ 1687 წელს აღმოჩნდნენ, ანუ იმ დროიდან, როცა ვენეციელებმა ზარბაზანი აკროპოლისის მიმართულებით გაისროლეს და ის პართენონს მოახვედრეს, ადგილს, სადაც თურქები ტყვია-წამალს ინახავდნენ.

მართალია, ბრიტანეთის მუზეუმი ერთადერთი ადგილი არ არის, სადაც პართენონის მემკვიდრეობა ინახება, მაგრამ იქ ყველაზე მნიშვნელოვანი კოლექციაა დაცული. ამის გარდა, კონტინენტზე კიდევ არსებობს 7 მუზეუმი, მათ შორის ლუვრიც, რომლებისგანაც ბერძნები მათი ქანდაკებების დაბრუნებას ითხოვენ. თუმცა, ყველაზე მკაცრად და დაჟინებით მაინც ბრიტანეთის მუზეუმისკენ ილაშქრებენ და გასაგებია რატომაც - იქ დაცული მონაპოვარის მნიშვნელობა სხვებისას აღემატება. რას აცხადებენ ბრიტანელები? "პართენონის ქანდაკებების ნახვა აქ უფასოდ შეიძლება, ისინი იდეალურ პირობებში ინახება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბერძნული ნამუშევრები სხვა ცივილიზაციათა მემკვიდრეობის გვერდით არიან წარმოდგენილნი და მსოფლიო კონტექსტში იკითხებიან", - აი, ასეთია ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიცია. ლონდონი საბერძნეთის მუზეუმს ამ ქანდაკებებს, როგორც სამუზეუმო ექსპონატებს, მხოლოდ იმ პირობით გაუცვლის, თუ ის მათზე ლორდ ელგინის საკუთრების უფლებას აღიარებს. ათენელებისთვის კი ასეთი წინადადება მიუღებელია.

ათენის აკროპოლისის ახალ მუზეუმს რაც შეეხება, ის 20 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა. ამ დღეს 2004 წლიდან მოყოლებული ელოდებოდნენ. თუმცა, მისი გახსნა რამდენჯერმე გადაიდო. ამაში საზოგადოების დიდმა ნაწილმა საბერძნეთის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები დაადანაშაულა: მათ დაპირება ბევრჯერ არ შეასრულეს, ახლა კი თავის წარმოჩენას იმით ცდილობენ, რომ ბერძნული ქანდაკებების სამშობლოში დაბრუნებას მოითხოვენო თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი მუზეუმის ოფიციალური გახსნისას მსგავსი ბრალდებები არავის გახსენებია.

აკროპოლისის მუზეუმის გახსნას ესწრებოდნენ: ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუ, "იუნესკოს" გენერალური დირექტორი კოიტირო მაცურა და ასევე, დელეგაცია 30-ზე მეტი ქვეყნიდან.

სამდონიანი მუზეუმი 25 ათასი კვადრატული მეტრის მოედანზე, აკროპოლისის ფერხთით მდებარეობს. ეს ნაგებობა შვეიცარიელმა არქიტექტორმა ბერნარდ შუმმა დააპროექტა. მშენებლობა 130 მილიონი ევრო დაჯდა. ავტორების ჩანაფიქრით, მუზეუმმა სახელი ანტიკურ ქანდაკებათა ერთ-ერთი საუკეთესო და სახელგანთქმული კოლექციით უნდა გაითქვას. ახალ სივრცეში ექსპონირებული იქნება ქანდაკებები აკროპოლისის ტაძრებიდან, აღმოჩენები, რომლებიც ამ ბორცვზე გაკეთდა, ასევე, საბერძნეთიდან გატანილი იმ ნამუშევრების ასლები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან აკროპოლისთან.

ბერძნული მხარე მიიჩნევს, რომ აკროპოლისის მუზეუმის გახსნა საბერძნეთს ქვეყნიდან გატანილი ხელოვნების ნამუშევრების დაბრუნებაში დაეხმარება. საბერძნეთი უკვე დიდი ხანია რაც პართენონის ქანდაკებების დასაბრუნებელ კამპანიას აწარმოებს. აღნიშნული ნიმუშები ათენიდან დასავლეთ ევროპაში XVIII და XIX საუკუნეებში წაიღეს. ამ ნამუშევრებიდან უმრავლესობა დიდ ბრიტანეთში სწორედ ბრიტანელმა დიპლომატმა გაიტანა.

## საფრანგეთის პირველი ლედი ფილმში

ამერიკელმა კინორეჟისორმა ვუდი ალენმა, რომელიც ეფექტური მსახიობების სიყვარულითაა ცნობილი, სურვილი გამოთქვა, საფრანგეთის პირველი ლედი კარლა ბრუნი-სარკოზი ფილმში გადაიღოს. "დარწმუნებული ვარ, ის არაჩვეულებრივი იქნება, მას აქვს ქარიზმა, უკვე ნათამაშები აქვს როლები და ამიტომ ცნობილია საზოგადოებისთვის", - განაცხადა რადიო RTL-სთან ინტერვიუში ალენმა. სახელგანთქმულმა რეჟისორმა აღნიშნა, რომ შეუძლია ყოფილი ტოპ-მოდელი "ბევრი საშუალებით" გამოიყენოს, თუმცა მასთან კონკრეტული წინადადება ჯერ არ გააჩნია. "მე აუცილებლად დაველაპარაკები მას ამ თემაზე და შევეკითხები, დაინტერესებულია თუ არა", - დაამატა ვუდიმ.

კარლა ბრუნი, რომელმაც სამოდელო ბიზნესიდან წასვლის შემდეგ, სიმღერას მიჰყო ხელი, ხოლო გასულ წელს საფრანგეთის პრეზიდენტს ცოლად გაჰყვა, დიდ ეკრანებზე არაერთხელ გამოჩენილა. 1994 წელს მან მონაწილეობა მიიღო რობერტ ოლტმენის ფილმის "უმაღლესი მოდას" გადაღებებში. ამავე ფილმში მონაწილეობდნენ სხვა ცნობილი ტოპ-მოდელებიც, დიზაინერები და ვარსკვლავები: მაგალითად, მომღერალი ბიორკი და ილუზიონისტი დევიდ კოფერფილდი. 1995 წელს პირველმა ლედიმ ფილმ "ბოლომდე გახსნილშიც" ითამაშა.



კარლა ბრუნმა სიმღერას გათხოვების შემდეგაც არ დაანება თავი. 2008 წლის ზაფხულში მან ალბომი გამოუშვა, სახელწოდებით "თითქოს არაფერი ყოფილა", რომელმაც საფრანგეთის მუსიკალურ ბაზარზე, გაყიდვების რაოდენობით პირველი ადგილი დაიკავა. კონცერტის ჩატარებაზე, პირველმა ლედიმ პრაქტიკულად უარი განაცხადა, თუმცა 2008 წლის სექტემბერში, ბრიტანულ ტელეშოუში იგი Metallica-სა და პოლ მაკარტნისთან ერთად ვიხილეთ.

დადის ხმები იმის შესახებ, რომ თავისი მომდევნო სამი ფილმის გადაღება, ვუდი ალენს ევროპაში აქვს გადაწყვეტილი. რადიო RTL-ს ცნობით, მომავალ წელს იგი საფრანგეთში იმუშავებს. გარდა ამისა, მარტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თავის ახალ ფილმში გადასაღებად, რომლის სამუშაო სახელწოდებაც ჯერ ცნობილი არ არის, ალენმა ავსტრალიელი კინოვარსკვლავი ნიკოლ კიდმანი დაითანხმა. ახალი ფილმის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ ვუდი ალენმა მთელი რიგი ვარსკვლავები შეკრიბა: კიდმანის გარდა, გადაღებებში მონაწილეობას მიიღებენ ანტონიო ბანდერასი, ენტონი ჰოპკინსი, ნაომი უოტსი, ჯოშ ბროლინი და ინდოელი მსახიობი, ოსკაროსანი ფილმის "მილიონერი ჯურღმულებიდან" მთავარი გმირი - ფრეიდ პინტი. პროექტს ესპანური კინოკომპანია Mediapro დააფინანსებს, რომელმაც ალენის წინა ფილმი "ვიკი, კრისტინა, ბარსელონაც" დააფინანსა. ახალი ფილმის პროდიუსერები ლეტი არონსონი, სტივ ტენენბაუმი და ჰაუმ პურესი იქნებიან.

ბასა ჯანიკაშვილის სვეტი



ინტერვიუ 27

# ომი დამთავრდა, ტერორიზმის გეშინოდეთო

ჩვენი სტუმარია საერთაშორიოს ტერორიზმის ბრძოლის ცენტრის "მშვიდობა და საფრთხეების" უფროსი ჯემალ ფარნახანაშვილი. ბატონი ჯემალ ფარნახანაშვილი წლების მანძილზე პროტესტის ნიშნად თბილისის ერთ-ერთ სარდაფში იმალებოდა. გასულ კვირას იგი იატაკქვეშეთიდან ამოვიდა და საქართველოს სამსახურში დაბრუნდა.

**ბასა ჯანიკაშვილი** - ბატონო ჯემალ ფარნახანაშვილო, მოკლედ მოგვიყევით, რატომ გადაწყვიტეთ სარდაფში დამალვა და შემდეგ, უფრო მოკლედ გვითხარით, რატომ გადაწყვიტეთ სარდაფიდან ამოსვლა?

**ჯემალ ფარნახანაშვილი** - ეს იყო პროტესტი ჩემი. პროტესტი ვარდების ე.წ. ვარდების რევოლუციის მოწინააღმდეგეების მიმართ.

**ბ.ჯ.** - ვერ მივხვდი? ვარდების რევოლუციის მოწინააღმდეგეების მიმართ?

**ჯ.ფ.** - დიახ, იყვნენ ხალხი ვინც ვარდების რევოლუციას აპროტესტებდა.

**ბ.ჯ.** - მგონი ცოტა დაასწარით. ახლა მათი რიცხვი გაცილებით მეტია.

**ჯ.ფ.** - დიახ, მესმის, მაგრამ ახლა ტერორისტული საფრთხეები მომრავლდა. ვერ ხედავთ, რა ხდება სამეგრელოში? რა ხდება რაჭაში?

**ბ.ჯ.** - დიახ და ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი. მაგრამ, სარდაფიდან თქვენი ამოსვლა რაიმე კონკრეტულ დავალებას ან მომავალ მოქმედებებს უკავშირდება?

**ჯ.ფ.** - არა, ჩემი ნაბიჯი - ჩემი ნაბიჯია. მინდა დავეხმარო ამ ხელისუფლებას და აღვკვეთო ტერორიზმი. ამისათვის საჭიროა ცოტა ხანი გავხდეთ ტერორისტები, მათ ტყავში შევძვრეთ და შემდეგ, ადვილი იქნება მომდევნო აფეთქებებისაგან გამიჯვნა.

**ბ.ჯ.** - შერლოკ ჰოლმსის მეთოდი ეტყობა ანტიტერორისტულ გამოძიებაშიც ამართლებს!

**ჯ.ფ.** - აბა, თქვენ თუ მეტყვით, ვინ აწყობს საქართველოში დესტაბილიზაცია?

**ბ.ჯ.** - თქვენ გაცილებით კვალიფიციურ პასუხს გამცემთ.

**ჯ.ფ.** - კი ბატონო, გეტყვით. აფეთქებები ომში დამარცხებულ მხარეს აწყობს.

**ბ.ჯ.** - ამით თქვენ ადასტურებთ ფრიად საკამათო თეორიას, რომ ომში ჩვენ არ დავმარცხებულვართ. აბა, ჩვენ თავს ხომ არ მოვუწყობთ აქტებს?

**ჯ.ფ.** - რა თქმა უნდა, არა. აფხაზები და ოსები აკეთებენ ამას და კიდევ რუსები. რუსების დახმარებით ფეთქდება გზები, ლიანდაგები, სახლები და მანქანები.

**ბ.ჯ.** - რატომ უნდა ააფეთქონ აფხაზებმა სამეგრელოში რკინიგზა?

**ჯ.ფ.** - იმიტომ, რომ დამარცხდნენ და გამარჯვება უნდათ.

**ბ.ჯ.** - ბევრი ექსპერტი ამბობს, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი გადაწყვეტილია და ის უბრალოდ დროში იწელება. თუ ცუდ სიზმარში მაინც დავუშვებთ და რამდენიმე ათეულ წელიწადში აფხაზეთმა და ცხინვალის რეგიონმა მართლაც მიიღო საერთაშორისო აღიარება, დღევანდელი ტერაქტები ეს მათ რაში დაეხმარებათ?

**ჯ.ფ.** - ეს არ ვიცი, ეს მათ უნდა ჰკითხოთ, მაგრამ ასეთ ცუდ სიზმრებს მე ხშირად ვხედავ.

**ბ.ჯ.** - წარმოიდგინეთ, რომ შარშან აგვისტოს მოვლენები ისეთი სცენარით დასრულებულიყო, როგორც ეს ჩვენ გვინდოდა. აღგვედგინა იურისდიქცია და გუდაუთიდან რუსული ბაზა გასულიყო. არ მითხრათ ახლა, რომ ჩვენ დავიწყებდით ტერაქტების მოწყობას რუსეთში.

**ჯ.ფ.** - რა თქმა უნდა არა, იმიტომ, რომ ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და საქართველო აგრესორი არასდროს ყოფილა.

**ბ.ჯ.** - კიდევ კარგი, თორემ მე ვიფიქრე, რომ გამარჯვება უფრო საშიში ყოფილა, ვიდრე დამარცხება. დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.

# ზაფხულის სონატა

## "ამირანში" ინგმარ ბერგმანის რეტროსპექტივა გაიმართება

ია ვეკუა

მაშინ, როდესაც მსოფლიო კინოზე ციფრული გრაფიკით შექმნილი ბლოკბასტერები ბატონობენ, ერთი მხრიდან ფოლადის ტერმინატორები გვიტევენ, მეორე მხრიდან კი უცხო გალაქტიკიდან მოსული ტრანსფორმერები, მაინც რჩება ადგილები, სადაც ნამდვილ ფირზე გადაღებული ნამდვილი ადამიანების ნახვაა შესაძლებელი. კინოთეატრი "ამირანი" ინგმარ ბერგმანის ფილმების რეტროსპექტივას იწყებს.

29 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით დაგეგმილი ჩვენების ორგანიზატორები საქართველოში შვედეთის საელჩო, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი და თავად "ამირანია". ფილმების ნახვის საშუალება მაყურებელს კინოთეატრის მცირე დარბაზში სულ რაღაც 5 ლარად შეეძლება. აქვე კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეკრანზე არა ვიდეო, არამედ კინოპროექტორით გაშვებულ ფილმებს ნახავთ, რადგან შვედეთიდან სწორედ ფირები ჩამოიტანეს. ფილმები ორიგინალის ენაზე გავა და დართული ექნება თამარ მაისურაძის, დათო გაბუნიასა და ნათია გვიანიშვილის მიერ გაკეთებული ქართული თარგმანის სუბტიტრები.



*კადრი ბერგმანის ფილმიდან "პერსონა".*

რეტროსპექტივაზე სულ ხუთი ფილმი იქნება წარმოდგენილი: 29 ივნისს 1951 წელს გადაღებულ "ზაფხულის თამაშებს" ნახავთ. ფილმი რეჟისორმა თავისივე მოთხრობა "მარის" მიხედვით გადაიღო, მარი კი ახალგაზრდა ბალერინაა, შეყვარებული გოგონა, რომელიც დაკარგული სიყვარულის შესახებ მრავალი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ იხსენებს. მოხეტიალე ცირკის მსახიობების ცხოვრებას აღწერს 1953 წლის ფილმი "ჯამბაზების ღამე". მას მაყურებელი 30 ივნისს ნახავს. მსახიობები, რომლებიც საკუთარ თავს "მსოფლიოში ყველაზე მხიარულ ადამიანებს" უწოდებენ, მაინც ცდილობენ ყოფითი სტაბილურობის მოპოვებას, დანარჩენ საზოგადოებასთან ასიმილირებასა და გამუდმებული სილატაკისგან თავის დაღწევას. თუმცა როგორც წესი შემხვედრ რეაქციად ყოველთვის სიცივე და ამრეზილი მზერა ხვდებათ, უარეს შემთხვევაში კი დაცინვა და ზიზღი.

1 ივლისი "სახის" დღეა - ფილმი მაქს ფონ სიუდოვისა და ინგრიდ ტულინის შესანიშნავი დუეტით. ვენეციის კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზით დაჯილდოებული ფილმი კოსტუმირებული დრამაა, თუმცა არიან კრიტიკოსები, რომლებიც მასში კომედიის, უფრო კი ტრაგიკომედიის ელემენტებსაც ხედავენ. ორი ადამიანი მაგი და ჰიპნოზიორ ფოგლერისა და ექიმ ვერგერუსის დაპირისპირებისას, როდესაც ეს უკანასკნელი ოპონენტის შარლატანობის გამოვლენას ცდილობს, საბოლოოდ თავადაც იგლეჯენ ნიღაბს და ერთმანეთისა და მაყურებლის წინაშეც თავიანთი ნამდვილი სახეებით ჩნდებიან...

"სახის" შემდეგ ინგმარ ბერგმანის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნამუშევრის დღე დგება. რეჟისორის საყვარელი მსახიობის, ლივ ულმანისა და ბიბი ანდერსონის პერსონაჟების დრამა "პერსონაში" გათამაშდება. ბერგმანი ამ ფილმს თავისი შემოქმედების უმნიშვნელოვანეს ნამუშევარს უწოდებდა და არც თუ ტყუილად ამაში ქართველი მაყურებელი კიდევ ერთხელ დარწმუნდება. მოულოდნელად დადუმებული მსახიობი ელიზაბეტ ფოგლერი დახმარებისთვის ფსიქიატრს მიმართავს, რომელიც უმარტავს, რომ ფიზიკურად ჯანმრთელია, თუმცა ფსიქიკურად გაურკვეველ მდგომარეობაშია, ამიტომ დასვენებას, ჩვეული ცხოვრებისგან დროებით მოწყვეტას ურჩევს. ელიზაბეტი დასასვენებლად ზღვის სანაპიროზე მიემგზავრება, თან კი დამხმარე ექთანი ალმა მიჰყვება, რომელიც მუდამ მდუმარე მსახიობს თავისი ცხოვრების შესახებ უყვება.

1978 წელს გადაღებული "შემოდგომის სონატა" "პერსონასთან" ერთად ქართველი მაყურებლისთვის ყველაზე ცნობილი ფილმია. ამჯერად ეკრანზე ლივ ულმანისა და ინგრიდ ბერგმანის დედა-შვილურ დუეტს ვადევნებთ თვალყურს. ინგმარ ბერგმანი ფილმის გადაღებამდე წერდა: "მინდა გადავიღო ფილმი დედისა და შვილის შესახებ და ამ ორ როლზე აუცილებლად ინგრიდ ბერგმანს და ლივ ულმანს მოვიწვევ - მათ და მხოლოდ მათ." ასეც მოხდა - იმ დროისთვის უკვე მსოფლიო ვარსკვლავი ინგრიდ ბერგმანი თანამემამულე და თანამოგვარე რეჟისორმა თავის ნამუშევარში პირველად და უკანასკნელად გადაიღო (მსახიობი ამ როლისთვის "ოსკარზე" იყო ნომინირებული). ლივ ულმანის გმირი ევა, რომელიც სოფლის პასტორის მეუღლეა, სტუმრად დიდი ხნის უნახავ დედას (ბერგმანი) მოიწვევს. შარლოტა ანდერგასტი მსოფლიოში ცნობილი პიანისტია, რომელმაც წლები უდარდელ ცხოვრებაში გაატარა, რამდენიმე ქმარი გამოიცვალა და უკვე სიბერის ასაკში გადადის. მისგან რადიკალურად განსხვავებული ევა კი ტიპური დიასახლისია, რომელიც მოწოდებულია იყოს კარგი დედა, ცოლი, შვილი. თუმცა ამ მოჩვენებითი იდილიის მიღმაც იმალება არა ერთი პრობლემა, არა ერთი ტრაგედია. ამას კი ისიც ემატება, რომ ევა საბოლოოდ არკვევს, რამდენად არ უყვარდა იგი არასდროს საკუთარ დედას, რომელიც იმასაც კი ვერ იგებს, რატომ არ კვდება მისი მეორე ავადმყოფი შვილი, რათა სიმშვიდე მოიპოვოს...

# ალისა ათი წლის შემდეგ

## ტიმ ბარტონის "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" 2010 წელს გამოვა

2010 წლის 5 მარტამდე დღეთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იკლებს - მსოფლიო ეკრანებზე სწორედ ამ დღეს გამოვა ყველაზე დიდი კინომეზღაპრის, ტიმ ბარტონის "ალისა საოცრებათა ქვეყანაში". სულ უფრო მეტი ხდება ცნობილი თავად ფილმის შესახებაც. ინტერნეტში უკვე არა მხოლოდ პერსონაჟები და ფილმის არტი გამოჩნდა, არამედ ისიც გახდა ცნობილი, რომ ბარტონი სულაც არ აპირებს ლუის კეროლის მიერ დაწერილი ამბის მოყოლას...

როგორც უცხოური პრესა იუწყება. ახალი "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" უფრო კეროლის ისტორიის გაგრძელება, ერთგვარი სიკველი იქნება. ალისა კი პატარა გოგონა კი არა 17 წლის ქალიშვილია, რომელსაც ერთ საღამოს თაყვანისმცემელი გულს და ხელს სთხოვს. მას არ სურს გათხოვება, სახლიდან გარბის და სასოწარკვეთილი კვლავ გაეკიდება თეთრ კურდღელს. შემდეგ კი როგორც ეს წლების წინ მოხდა, ისევ საოცრებათა სამყაროში აღმოჩნდება. გოგონას არ ახსოვს 10 წლის წინანდელი მოგზაურობა, თუმცა ამ უცნაური ქვეყნის ბინადრები მას სულმოუთქმელად ელიან.

ფილმს ბარტონი ე. წ. Performance-capture-ს ტექნოლოგიის გამოყენებით იღებს. სწორედ ეს ტექნოლოგიაა გამოყენებული რობერტ ზემეკისის "ბეოვულფშიც" და მას უკვე აქტიურად მიმართავენ სხვადასხვა სანახაობრივ პროექტებზე მუშაობისას. აღნიშნული ხერხი ფილმში მხოლოდ ნაწილობრივ, ზღაპრული პერსონაჟების (ლურჯი მუხლუხო, მარტის კურდღელი და ასე შემდეგ) გამოსახულებების შექმნისას გამოიყენებოდა. სხვა მხრივ, ფილმი "სუფთაა".



ტრადიციულად, ბარტონმა ერთ-ერთ მთავარ როლზე ჯონი დეპი აიყვანა, რომელიც შეშლილ მექუდეს განასახიერებს, რომელიც მარტის კურდღელთან ერთად არადაბადების დღეს ჩაის სმით აღნიშნავს. ახალ ეკრანიზაციაში ტიმ ბარტონის კიდევ ერთი საყვარელი მსახიობი და საყვარელი მეუღლეც ითამაშებს - ჰელენა ბონემ კარტერი. იგი წითელ, ანუ გულის დედოფლის როლს განასახიერებს, თეთრი დედოფლის როლი ენ ჰეთეუეის ერგო, ხოლო გულის ვალეტს კრისპინ გლოვერი ითამაშებს. რაც შეეხება ალისას როლის შემსრულებელს, იგი 18 წლის ავსტრალიელი მსახიობი მია ვასიკოვსკაა, რომლისთვისაც ეს პროექტი პრაქტიკულად პირველი სერიოზული სამუშაოა.

"ალისა საოცრებათა ქვეყანაში" პირველად ჯერ კიდევ 1903 წელს გადაიღეს. მას შემდეგ ლუის კეროლის ტექსტი ათეულობით ფილმის საფუძველი გახდა. მაყურებლისთვის ასევე კარგადაა ცნობილი "დისნეის" ანიმაციური ფილმი, რომელიც პრაქტიკულად შედევრია და მთელი სიმძაფრით ქმნის კეროლის ნაწარმოების ზღაპრულ განწყობას. ამ საკულტო ნაწარმოების ირიბი გავლენა იგრძნობა რამდენიმე ფილმშიც. მაგალითად, "მატრიცას" პირველ ნაწილში ნეო იღებს შეტყობინებას, რომ თეთრ კურდღელს უნდა გაჰყვეს. ასევე ცნობილი თამაშის Resident Evil -ის ეკრანიზაციაში მილა იოვოვიჩის გმირს ალისა ჰქვია, მთავარ კომპიუტერს "წითელი დედოფალი", ხოლო ვირუსის ლაბორატორიული გამოცდა სწორედ თეთრ კურდღელზე ხდებოდა.

# რა სტკივათ ინგილოებს?

## მალე საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ბავშვების დასვენების პროგრამა ამოქმედდება

თამარ კიკნაველიძე

საინგილოს ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები თბილისში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელშეწყობით ჩამოვიდნენ და გადაცემა "ეტალონში" მიიღეს მონაწილეობა.

ასეთი ინიციატივა იქ პირველად 2007 წელს განხორციელდა. წარმატებული მცდელობა სტიმული აღმოჩნდა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ამ პროექტში მონაწილეობის მისაღებად 2009 წლის მაისის თვეში კონკურსით შეარჩიეს.

ისტორიული საინგილოს ტერიტორიაზე სულ ათი ქართულენოვანი სკოლაა, მათ შორის, 7 კახის რაიონში მდებარეობს, 2 - ზაქათალას რაიონში, ხოლო 1 - თელათლის რაიონში. "ეტალონში" ამ სკოლების საუკეთესო წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და მათთვის დასმულ შეკითხვებზე პასუხს ქართული პოეზიის ცნობილი ნიმუშებიდან აღებული ნაწყვეტებით იწყებდნენ. ქართული ენის შესანარჩუნებლად იქ ძალისხმევას არ იშურებენ.

გადაცემის ჩაწერას დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები, ქართულენოვანი სკოლების დირექტორები, მონაწილეთა მშობლები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ. მათთან გასაუბრების შესაძლებლობა იშვიათად გვეძლევა და რამდენიმეს საინგილოსთან დაკავშირებით არსებული პრობლემების შესახებ ვკითხეთ.

**თამარ გამილაღდიშვილი (დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე):** - "არის თუ არა საინგილო ჩვენთვის პრიორიტეტული? რა თქმა უნდა არის, ისევე როგორც ყველა ჩვენი თანამემამულე, რომლებიც სამშობლოს არიან მოწყვეტილნი. ინგილოები ქართულ ძირძველ მიწაზე ცხოვრობენ, მაგრამ წინა საუკუნიდან მოყოლებული აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იმყოფებიან. დიასპორას, ზოგადად, ძალიან ფაქიზი მოპყრობა უნდა, მაგრამ განსაკუთრებით ინგილოებს, რომლებიც ჩვენი თანამემამულეები არიან. მათ სურთ საქართველოს აღმშენებლობა და უნდათ, რომ ჩვენი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში წვლილი შეიტანონ, მაგრამ ამის საშუალებას მოკლებულნი არიან. ჩვენი აპარატი ყველანაირად ცდილობს მათ დაეხმაროს, თუნდაც, ასეთ პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. სამინისტროში მუშაობენ სპეციალისტები, რომლებიც დიასპორასთან ურთიერთობითა და მათთვის პრობლემების მოგვარებით არიან დაკავებულნი. მაგალითად, საინგილოს საკითხებზე მუშაობს თემურ ტარტარაშვილი, რომელიც იქიდან არის და ყველაფერში უკეთ ერკვევა.

მინდა გითხრათ, რომ საინგილოს საკითხზე ყველა ვმუშაობთ. პირადად მე, სანამ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში გადმოვიდოდი, 15 წელი ესპანეთში, კერძოდ ბასკეთში, ვცხოვრობდი და არასამთავრობო ორგანიზაციას



*იულონ გაგოშიძე ინგილო ბავშვებთან ერთად.*

"ევროპის ერების ბასკურ ფონდს" ვხელმძღვანელობდი. მისი ერთ-ერთი მიმართულება იყო კავკასია, რომელიც სწორედ საინგილოსა და ლაზების გამო ჩავიბარე. ამ მიმართულების დირექტორობაზე მხოლოდ მას შემდეგ დავთანხმდი, რაც იქაური ხელმძღვანელობისგან მივიღე პირობა იმისა, რომ ამ კუთხისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩენდნენ და მათ ეს შეასრულეს. ვიდრე ჩვენი აპარატი შეიქმნებოდა, აქტიურად ვთანამშრომლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. 2008 წლის თებერვალში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე ბ-ნი იულონი დაინიშნა და ყველაფერი თანდათან ჩამოყალიბდა...

**- უფრო კონკრეტულად იმ პრობლემებზე, რომლებიც ინგილოებს აქვთ?**

- ჩვენს ინგილოებს აქვთ პრობლემები, რომლებიც შესაძლოა არც იყოს გასახმოვანებელი, მაგრამ პირადად მე, არა მარტო როგორც სახელმწიფო მოხელე, არამედ როგორც ქართველი, ვფიქრობ, რომ თუ ამ პრობლემებზე ხმამაღლა არ ვისაუბრეთ, არაფერი შეიცვლება. იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ინგილოებს აწუხებთ, აქამდეც ვიცოდით, მაგრამ ახლა უკვე XXI საუკუნეა და დროა მათ ახლებურად შევხედოთ. რა არის მთავარი პრობლემის ძირითადი ასპექტი? ჩემი აზრით, ქართული ენა და მისი შენარჩუნება. ამ ხალხს არ უნდა იმის შეხსენება, რომ ქართველები არიან და შეიძლება ყველაზე უფრო ქართველებიც კი... გრიგოლ რობაქიძის არ იყოს, სამშობლოდან მოშორებით მცხოვრები უფრო ქართველიაო ხანდახან... მართალია ინგილოები სამშობლოდან მოშორებით არ ცხოვრობენ და პირიქით, ძალიან ახლოს არიან მასთან, მაგრამ ენის პრობლემა უდგათ და მომავალში ეს საკითხი კიდევ უფრო შეაწუხებთ, რადან იქ ქართული სკოლების რაოდენობა მცირდება და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კეთილი მეზობელი, აზერბაიჯანი, გვპირდება, ამ საქმეში ხელს შეგვიწყობთო, ჯერჯერობით პირობას ვერ ასრულებს. სამწუხაროა, რომ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც საინგილოს ძირძველ მოსახლეობას საკუთარი ინიციატივით უშლიან ხელს იმაში, რომ მათ არა მხოლოდ შეინახონ ქართული კულტურა, ენა და ისტორია, არამედ ეზიარონ კიდეც მას... ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს ასე აღარ გაგრძელდეს... ახლა, მაგალითად, ვმუშაობთ კახის კულტურის სახლის აღდგენაზე, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა შეგვპირდა და იმედი მაქვს სიტყვას შეასრულებს, რომ იქ ჩვენს ინვესტორებს შეუშვებს იმისათვის, რომ მათ კულტურის სახლი აღადგინონ. თუმცა, ეს ზღვაში წვეთია... და თუ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მდგომარეობას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მათ ბევრად უკეთესი მდგომარეობა აქვთ ენისა და კულტურის შენარჩუნების თვალსაზრისით, ვიდრე ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველებს. ასეთი დისბალანსი დაუშვებელია და ის აუცილებლად უნდა დარეგულირდეს. სწორედ ამ პრობლემების მოსაგვარებლად გახლდით აზერბაიჯანში თებერვალში, მოგვიანებით იქ ბ-ნი იულონიც ჩავიდა და ვფიქრობ, რომ ყინული გალღვა. ახლა მთავარია აქტიურად ვიმუშავოთ იმაზე, რომ რაც შეიძლება ნაკლები გულდაწყვეტილი ქართველი გვყავდეს საინგილოში და ინგილოების ბედით შეწუხებული ნაკლები გულდაწყვეტილი ქართველი საქართველოში.

ეს პრობლემები ყველაზე მტკივნეული სწორედ იქ მცხოვრები ქართველებისთვისაა. "რა გვტკივა? უპირველესად გვინდა შევინარჩუნოთ ის კულტურული ავტონომია, რაც გვაქვს, - გვიპასუხა ილია კახელმა, რომელიც კახის რაიონის სოფელ ალათეულის საშუალო სკოლის დირექტორია, - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ ქართულენოვან სკოლებში არ ისწავლება ისეთი საგნები, როგორებიცაა საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. მართალია, წერა-კითხვა ქართულ ენაზე მიმდინარეობს, მაგრამ არსებობს შეზღუდვებიც, მაგალითად, 2009 წლის იანვრიდან ბრძანების წიგნს უკვე აზერბაიჯანულ ენაზე გვაწერინებენ... ამას კიდევ აიტანს კაცი, მთავარია ქართველობამ ქართველობა შეინარჩუნოს, ქართული სულის შენარჩუნება კი, ვფიქრობ, საქართველოში უფრო ადვილია, ვიდრე სხვა სახელმწიფოში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სხვაგან არ წავსულვართ და ისევ მამაპაპისეულ მიწაზე ვცხოვრობთ...". ილია კახელი საქართველოს ისტორიის სპეციალისტია. ამ საგანს წლების განმავლობაში ასწავლიდა თბილისის მე-10 გიმნაზიაში და პარალელურად, ამავე სკოლის დირექტორის მოადგილეც იყო. საინგილოში ის 2000 წელს წავიდა და უკვე 9 წელია, რაც სკოლის დირექტორად მუშაობს და მოსწავლეებს საქართველოს ისტორიას უყვება.

მას შემდეგ, რაც მინისტრმა "ეტალონში" ყველაზე წარმატებულ ინგილოს - ლედი ფიროსმანაშვილს გამარჯვებულის მანტია მოასხა, ახალი ინიციატივის შესახებ გაგვიმხილა.

**იულონ გაგოშიძე, დისპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი:** - სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ სულ მალე ამოქმედდება საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების დასვენების პროგრამა, რომელსაც მეუფე დიმიტრისთან ერთად ვახორციელებთ. მას აქვს დასასვენებელი სახლი ქობულეთში, სადაც ორ-ორი კვირით ჩვენი საზღვარგარეთელი თანამემამულეები დაისვენებენ ხოლმე, მათ შორის, ინგილო ბავშვებიც. მათი პირველი ნაკადი იქ 18 ივლისიდან 2 აგვისტომდე ჩავა. ეს პროგრამა საინგილოს სამივე რაიონს მოიცავს და სავარაუდოდ, 80 ბავშვს დააკმაყოფილებს.

**თემურ ტარტარაშვილი:** - აზერბაიჯანის ქართულ დიასპორასთან ურთიერთობა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ კუთხით მე 2009 წლის მარტიდან ვმუშაობ. ჩვენ საინგილოს ქართულენოვან სკოლებში ჩავატარეთ ლიტერატურული კონკურსი იმ მოსწავლეებს შორის, რომლებიც წერენ ლექსებს, მოთხრობებს ან თავისუფალ თემებს ქართულ ენაზე. გამარჯვებულები 14 აპრილს, დედა ენის დღეს, თბილისში ჩამოვიყვანეთ და დავასაჩუქრეთ. ინგილოების "ეტალონში" მონაწილეობაც ხომ ერთგვარი წახალისებაა მათთვის. ჩვენი მიზანია იქ გაფართოვდეს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რაც ამ ორი ქვეყნის მეზობლურ ურთიერთობას კიდევ უფრო განამტკიცებს.



### ნომინაცია წლის საუკეთესო პროზაული კრებული

1. გურამ მეგრელიშვილი, **მრავალჯერადი ბოთლები** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. მაკა მიქელაძე, **წეროს ჯვარი** (სიესტა)
3. გიგი სულაკაური, **თამაში რევოლვერით** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. არჩილ ქიქოძე, **მყუდრო** (საარი)
5. გელა ჩქვანავა, **დაუმთავრებელი ამბავი** (დიოგენე)

### ნომინაცია წლის საუკეთესო პოეტური კრებული

1. დალილა ბედიანიძე, **ფიქრდიდობა** (სიესტა)
2. ბათუ დანელია, **MIRABILIS VITA** (ინოვაცია)
3. გიორგი ზანგური, **წიგნი** (შემეცნება)
4. გიორგი მირზაშვილი, **ლექსები** (სიესტა)
5. მაკა მიქელაძე, **ბარათი** (სიესტა)
6. ჯუანშერ ტიკარაძე, **უკუქცევა** (დიოგენე)
7. ნიკა ჯორჯანელი, **სუნთქვა ხუთვისას** (დიოგენე)
8. ტარიელ ხარხელაური, **მინდვრის ფსალმუნები** (ეროვნული მწერლობა)

### ნომინაცია წლის საუკეთესო რომანი

1. ლაშა ბუღაძე, **კარიკატურისტი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. თეონა დოლენჯაშვილი, **მემფისი** (სიესტა)
3. აკა მორჩილაძე, **მესაიდუმლის ქამარი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. გურამ ოდიშარია, **პრეზიდენტის კატა** (უნივერსალი)
5. დავით ქართველიშვილი, **ახალი წიგნი** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
6. დათო ჩიხლაძე, **ფემინინე** (სიესტა)
7. თამაზ ჭილაძე, **ბრეიგელის მთვარე** (პეგასი)

### ნომინაცია წლის საუკეთესო პიესა

1. ლაშა ბუღაძე, **ნაფტალინი** (წიგნის სახელოსნო)
2. ირაკლი სამსონაძე, **ყოფილების სარეცელი** (ჟურნ. "ჭოროხი", N5, 2008)
3. ბასა ჯანიკაშვილი, **სულიკო** (სიესტა)

### ნომინაცია წლის საუკეთესო თარგმანი

1. მაია ბადრიძე, რობერტ მუზილის **"უთვისებო კაცი"** (დიოგენე)
2. მანანა გიგინეიშვილი, **დიდება შენდა** (პეგასი)
3. გიორგი ეკიზაშვილი, დანიელ ტენაკის **"ძაღლი, ძაღლი"** (აგორა)
4. მაგალი თოდუა, **სპარსული პოეზიის შედევრები** (უნივერსალი)
5. დავით კახაბერი, ანდრე ჟიდის **"ყალბი ფულის მჭრელები"** (ინტელექტი)
6. ასმათ ლეკიაშვილი, ემილი ბრონტეს **"ქარიშხლიანი უღელტეხილი"** (არეტე)
7. ირმა რატიანი, **100 უძველესი იაპონური ლექსი** (სიესტა)
8. გიორგი ქაჯაია, გალიუს სალუსტიუს კრისპუსის **"თხზულებები"** (ლოგოსი)
9. თეა შურღაია და მზია ბურჯანაძე, თანამედროვე სპარსული პროზა **"14 სევდიანი ამბავი"** (უნივერსალი)
10. ზაზა ჭილაძე, კენ კიზის **"გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა"** (დიოგენე)
11. ირაკლი ჯავახაძე, სერგეი დოვლატოვის **"ჩემოდანი"** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
12. პაატა ჯავახიშვილი, მილან კუნდერას **"გამოსათხოვარი ვალსი"** (დიოგენე)

### ნომინაცია წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

1. ლევან ბრეგაძე, **მოთხრობები ლიტერატურაზე** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. რეზო ესაძე, **ბიალონი - კინორეჟისურის შესახებ** (კენტავრი)
3. გოგი ხორნაული, **ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი** (ეროვნული მწერლობა)
4. რევაზ გაჩეჩილაძე, **ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა**
5. ზაზა ფირალიშვილი, **ფრაგმენტული მედიტაციები იერონიმუს ბოსხის მხატვრობის შესახებ** (კავკასიის საზ. სტრატეგიათა ინსტიტუტი)
6. ლამარა კიკილაშვილი, **სახსოვარი** (თეთრი გიორგი)
7. გიორგი ლობჟანიძე, **მუჰამედის ცხოვრება** (კავკასიური სახლი)
8. დათო ტურაშვილი, **ჯინსების თაობა** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

### ნომინაცია წლის საუკეთესო დებიუტი

1. დიანა ანფიმიადი, **შოკოლადი** (სიესტა)
2. ხათუნა თავდგირიძე, **Homo Totus** (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ნიკა თევზაძე, **დეტექტივის თავგადასავალი** (ზეკარი)
4. ლევან კავლელი, **ინდოჩინეთი** (სიესტა)
5. გიორგი კეკელიძე, **ოდები** (სიესტა)
6. ლადო კილასონია, **ღობე** (საარი)

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური“

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*„სასურსათო პროდუქციის ლაბორატორიული კვლევის" 2009 წლის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური აცხადებს ტენდერს* ***„სასურსათო პროდუქციის ლაბორატორიულ კვლევაზე"*** *სახელმწიფო შესყიდვის მიზნით მომსახურების შესყიდვაზე 23 ლოტად ჩასატარებელი მომსახურების ადგილმდებარეობისა და სახეობის მიხედვით.*

შესყიდვის ობიექტია:

| ლოტის № | ლოტის დასახელება ჩასატარებელი მომსახურეობის ადგილმდებარეობისა და სახეობის მიხედვით | ნიმუშების/სინჯების სავარაუდო რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | აღმოსავლეთ საქართველო, ხორცი და მისი ნაწარმი, ხორცის კონსერვები | 150 |
| 2. | აღმოსავლეთ საქართველო, რძე და რძის ნაწარმი, მისი კონსერვები, კვერცხი | 150 |
| 3. | აღმოსავლეთ საქართველო, თევზი და თევზის ნაწარმი, მისი კონსერვები | 100 |
| 4. | აღმოსავლეთ საქართველო, ბავშვთა (მათ შორის ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტები, მისი კონსერვები | 100 |
| 5. | აღმოსავლეთ საქართველო, ალკოჰოლური სასმელები (მათ შორის ჩამოსასხმელი) | 400 |
| 6. | აღმოსავლეთ საქართველო, სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების წყალი | 500 |
| 7. | აღმოსავლეთ საქართველო, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი | 50 |
| 8. | აღმოსავლეთ საქართველო, მარცვალი, ბურღულეული, ფქვილი, პური, ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, მაკარონი | 80 |
| 9. | აღმოსავლეთ საქართველო, ხილი-ბოსტნეული, კონსერვები, ჩაი, ყავა და სხვა. | 50 |
| 10. | აღმოსავლეთ საქართველო, ზეთები, ცხიმები, მარგარინი, მაიონეზი | 45 |
| 11. | აღმოსავლეთ საქართველო, მზა კერძები და კულინარული ნაწარმი | 45 |
| 12 | აღმოსავლეთ საქართველო წყლის სასაქონლო პროდუქცია, უალკოჰოლო და სუსტალკოჰოლური სასმელები(მათ შორის ჩამოსასხმელი) | 300 |
| 13 | დასავლეთ საქართველო, ხორცი და მისი ნაწარმი, ხორცის კონსერვები | 70 |
| 14 | დასავლეთ საქართველო, რძე და რძის ნაწარმი, მისი კონსერვები, კვერცხი | 70 |
| 15 | დასავლეთ საქართველო, თევზი და თევზის ნაწარმი, მისი კონსერვები | 50 |
| 16 | დასავლეთ საქართველო, არაყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური და სუსტალკოჰოლური სასმელები (მათ შორის ჩამოსასხმელი) | 100 |
| 17 | დასავლეთ საქართველო, სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების წყალი | 400 |
| 18 | დასავლეთ საქართველო, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი | 30 |
| 19 | დასავლეთ საქართველო, მარცვალი, ბურღულეული, ფქვილი, პური, ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, მაკარონი | 40 |
| 20 | დასავლეთ საქართველო, ხილი-ბოსტნეული, კონსერვები, ჩაი, ყავა და სხვა. | 30 |
| 21 | დასავლეთ საქართველო, ზეთები, ცხიმები, მარგარინი, მაიონეზი | 30 |
| 22 | დასავლეთ საქართველო, მზა კერძები და კულინარული ნაწარმი | 30 |
| 23 | დასავლეთ საქართველო წყლის სასაქონლო პროდუქცია, უალკოჰოლო სასმელები, | 100 |
| სულ | | 2 920 |

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. პრეტენდენტს უფლება აქვს შემოიტანოს ერთი სატენდერო წინადადება ერთ ან რამდენიმე ლოტზე. ლოტის მიხედვით შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

2. მომსახურება უნდა განხორციელდეს **2009 წლის 31 დეკემბრამდე.**

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებით, ორ ეგზემპლარად (*ორიგინალი და ასლი*) უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 14 ივლისის 12 საათიდან 15 საათამდე** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.№15ა. IV სართული. ოთახი №21.

4. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 14 ივლისს 15 საათზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ

ე) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (იურიდიული პირის შემთხვევაში).

ვ) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ზ) სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაცემული აკრედიტაციის მოწმობის ასლი.

თ) სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაცემული ცნობა „დასახელებულის" სტატუსის მინიჭების შესახებ.

ი) ცნობა აკრედიტაციის ეროვნული ცენტრიდან, რომ ლაბორატორიაში არ მიმდინარეობს ზედამხედველობა, გეგმიური ან არაგეგმიური საინსპექციო კონტროლი

კ) მომსახურების პროცესში დასაშვებია ქვე-კონტრაქტორების მონაწილეობაც, რომლებზეც ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს განცხადებით მოთხოვნილი შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

6. შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება განცხადების მე-5 პუნქტში მითითებული ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და ასევე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

7. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტები დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ მე-5 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

8. მე-5 პუნქტში მითითებული დოკუმენტები დათარიღებული უნდა იყოს განცხადების გამოქვეყნების დღიდან წინადადებების გახსნის დღემდე;

9. სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი არ განიხილება.

12 . ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **მ/წლის 23 ივნისის 10 საათიდან 2009 წლის 13 ივლისის 18 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.№15ა. IV სართული. ოთახი №21.

11. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს შეუძლია მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა უნდა შეადგენდეს სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ს.

13. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

14. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

15. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ანგარიშის №200122900, დანიშნულების კოდი: 300773174, ინფორმაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", ს/კ: 205142200.

16. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ გერონტი ფრუიძეს და ფრიდონ ალავიძეს სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.№15ა, მე-4 სართული, ოთახი №21; ტელ:(995 032) 392256;

***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სატენდერო კომისია***

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჰიგიენა - 2009'' -ის განცხადება

**ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ**

შ.პ.ს. ჰიგიენა -2009'' დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ პროექტთან - "მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში" - დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საბოლოო პროექტის საჯარო განხილვა გაიმართება:

- 2009 წლის 10 აგვისტოს - ქ. ბათუმში, შპს "სანდასუფთავების" ოფისში ზ. გამსახურდიას ქ. N46, 12:00 საათზე;
- 2009 წლის 11 აგვისტოს - ქ. ქობულეთში, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციაში, აღმაშენებლის N143 -ში, 11:00 საათზე; დაბა ჩაქვში, აღმაშენებლის ქუჩა N3, მე-2 სართული, დღის 13:00 საათზე.

გზშ საბოლოო პროექტი და არატექნიკური რეზიუმე ხელმისაწვდომია:

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურში, ქ.თბილისი, გულუას ქ. N6 (ხელმისაწვდომია ამობეჭდილი ვერსია);
- პროექტში "ორჰუსის ცენტრი საქართველოში", ქ.თბილისი, გულუას ქ. N6; (გზშ-ს ანგარიშის ელექტრონული ვერსია);

· აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში, რუსთაველის ქუჩა N6 (ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე: www.mofea.ge )

· აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში, ვ. გორგასალის ქ.N124; (ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია სამმართველოს ინტერნეტ გვერდზე: www.denr-adjara.ge)

· ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აღმაშენებლის N143; საკონტაქტო პირი: ემზარ ჯინჭარაძე, ტელ: 895222488 (ხელმისაწვდომია ამობეჭდილი ვერსია);

· ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში აღმაშენებლის N 21; საკონტაქტო პირი: ჯემალ შავლიძე, ტელ: 893786167; (ხელმისაწვდომია ამობეჭდილი ვერსია);

· დაბა ჩაქვი აღმაშენებლის 3, მე-2 სართული; საკონტაქტო პირი: ელგუჯა ბაგრატიონი, ტელ: 899 14 05 05. (ხელმისაწვდომია ამობეჭდილი ვერსია);

· შ.პ.ს. ჰიგიენა-2009'' მისამართზე ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, საკონტაქტო პირი ირაკლი ცეცხლაძე მობ. (893) 12 35 85.

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ, საკონტაქტო პირები: შ.პ.ს. ჰიგიენა - 2009'', მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6 ირაკლი ცეცხლაძე ტელ: მობილ: (893) 12 35 85; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მისამართზე: ქ. ბათუმი, ვ. გორგასალის ქ. N124.: ნოდარ კონცელიძე, ტელ: (877) 232227, ელ-ფოსტა: nkoncelidze@yahoo.com; ქეთი დგებუაძე, ტელ: (893) 301632, ელ-ფოსტა: ketdgeb@yahoo.com

შენიშვნების და მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 11 აგვისტოს 18:00. საათამდე.

# სპორტი

## წილი ნაყარია




*მიშელ პლატინიმ წილი გვიყარა.*

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა კენჭისყრა, რის შედეგადაც გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც ევროტურნირების საწყის ეტაპზე ქართულ კლუბებს დაუპირისპირდებიან.

სავარაუდოდ, კენჭისყრის შედეგებით ყველაზე უკმაყოფილო უნდა იყოს საქართველოს ჩემპიონი თბილისის "ვიტ ჯორჯია", რომელსაც პირველივე ეტაპზე ფორტუნამ სერიოზული მეტოქე არგუნა სლოვენიის "მარიბორის" სახით. ეს გუნდი ევროპული საზომებით ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ პირველი ეტაპისთვის არასასურველ მეტოქედ ჩაითვალოს.

"წილისყრის შედეგებზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი - შეიძლებოდა უფრო სუსტი გუნდი შეგვხვედროდა, თუმცა, ასევე შეიძლებოდა უფრო ძლიერი მეტოქეც გვყოლოდა. ასე რომ, სასაყვედურო არაფერი გვაქვს. "ვიტ ჯორჯია" პირველი საკვალიფიკაციო ბარიერის გადალახვას აპირებს. ჩემს გუნდს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს. ჯერჯერობით მეტოქეზე მცირე ინფორმაციას ვფლობთ. თუმცა, ცნობილია, რომ ხვალ ეს გუნდი სლოვენიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ "ზესტაფონთან" ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. უკვე ვესაუბრეთ "ზესტაფონის" წარმომადგენლებს, რომლებიც, ამ მატჩის ვიდეოჩანაწერთან ერთად, სხვა ინფორმაციასაც გამოგვიგზავნიან", - გვითხრა "ვიტ ჯორჯიას" მთავარმა მწვრთნელმა რამაზ მუმლაძემ.

საქართველოს ჩემპიონს უკვე დაწყებული აქვს ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი შეკრება. ორ დღეში გუნდი უკრაინაში გაემგზავრება და პირველი ლიგის კლუბ "კრიმ ტეპლიცას" საწვრთნელ ბაზაზე დაბინავდება, სადაც ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას ჩაატარებს. ამ პერიოდში "ვიტ ჯორჯია" რამდენიმე ამხანაგურ სპარინგმატჩს ჩაატარებს. ჯერ მხოლოდ ერთი მეტოქეა ცნობილი - ოდესის "ჩერნომორეცი". "ვიტ ჯორჯიამ" გუნდის ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა და ერთი, ვფიქრობ, სასარგებლო ტრანსფერი განახორციელა. გუნდთან კონტრაქტი გააფორმა და ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის "ვიტ ჯორჯიასთან" ერთად მზადებას შეუდგა თბილისის "ლოკომოტივის" გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი კახელიშვილი.

რაც შეეხება ლიგის კვალიფიკაციას, "ვიტ ჯორჯიასა" და "მარიბორს" შორის პირველი მატჩი 14 ან 15 ივლისს თბილისში გაიმართება, საპასუხო მატჩს "მარიბორის" 14-ათასიანი სტადიონი 21 ან 22 ივლისს უმასპინძლებს.

გაირკვა იმ ქართული გუნდების მეტოქეთა ვინაობაც, რომლებიც ევროპის ლიგად გადაკეთებულ უეფას თასის ტურნირში იასპარეზებენ. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე "ზესტაფონის" მეტოქე იქნება ჩრდილოირლანდიური "ლისბორნი". თუ ზესტაფონელები მეტოქეს დაამარცხებენ, მეორე ეტაპზე შვედურ "ჰელსინგბორგსა" და სომხურ "მიკას" შორის გამარჯვებულთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. პირველი მატჩი ზესტაფონელებს სტუმრად 2 ივლისს უწევთ, ხოლო განმეორებითი 9 ივლისს საქართველოში გაიმართება. მეორე ეტაპის მატჩები 16 და 23 ივლისს ჩატარდება. ამჯერად "ზესტაფონს" პირველ შეხვედრაში მასპინძლის რანგში მოუწევს ყოფნა.

ახლა "ზესტაფონი" საწვრთნელ შეკრებაზეა სლოვენიაში, სადაც ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ორჯერვე გია გეგუჩაძის გუნდის მეტოქე იყო პოლონეთის ვიცე-ჩემპიონი, ვარშავის "პოლონია". ორივე მატჩი ფრედ დასრულდა. პირველში 1:1 დაფიქსირდა, ხოლო მეორეში - 2:2.

ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ბარიერის დაძლევა არც რუსთავის "ოლიმპს" უნდა გაუჭირდეს, რომელსაც ფორტუნამ ფარერის კუნძულების "ბ36" შეახვედრა. პირველი მატჩი 2 ივლისს "ოლიმპის" არენაზე გაიმართება, განმეორებითს კი 8 ივლისს ფარერები უმასპინძლებს. გაცილებით სერიოზული მეტოქე "ოლიმპს" მეორე ეტაპზე ელის პოლონეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის, ვარშავის "ლეგიას" სახით. მეორე ეტაპზე რუსთაველები პირველ მატჩს ვარშავაში 16 ივლისს ჩაატარებენ (თუ, რა თქმა უნდა, "ბ36"-ის ბარიერს დაძლევენ), განმეორებითი მატჩი კი 23 ივლისს გაიმართება.

როგორც ეროვნული თასის მფლობელი, თბილისის "დინამო" ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან თავისუფალია და ტურნირში მეორე ეტაპიდან ჩაებმება. წილისყრამ საქართველოს ექსჩემპიონს ლატვიის წარმომადგენელი, ლიეპაის "მეტალურგსი" არგუნა. პირველი მატჩი 16 ივლისს ლიეპაიში გაიმართება, საპასუხოს კი 23 ივლისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს. ამ გუნდს "დინამო" წელს ერთხელ უკვე ეთამაშა. ეს მოხდა იანვარში, ანტალიაში, სადაც ქართული გუნდი ზამთრის არდადეგებზე საწვრთნელ შეკრებაზე იყო. ის სპარინგმატჩი "დინამოს" გამარჯვებით - 3:1 დასრულდა.

"ლატვიელებს ანტალიაში 6 თვის წინ შევხვდით. ამ გუნდზე გარკვეული ინფორმაცია გვაქვს. მათ ის უპირატესობა აქვთ, რომ ლატვიაში ჩემპიონატი კარგა ხნის დაწყებულია. ჩვენ გვინდა, სულ მცირე, ორი ეტაპი გავიაროთ და ამის მისაღწევად ძალას არ დავიშურებთ", - განაცხადა "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა კახა კაჭარავამ.

"სერიოზულად ვემზადებით და არა მხოლოდ პირველი ეტაპის დასაძლევად. ლატვიელებს თურქეთში ვეთამაშეთ. ურიგო გუნდის შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, მაგრამ ეს ბარიერი მაინც უნდა გადავლახოთ," - აღნიშნა "დინამოს" გასული სეზონის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ლევან ხმალაძემ.

**"ვიტ ჯორჯია" - "მარიბორი", "დინამო" - "მეტალურგსი", "ზესტაფონი" - "ლისბორნი", "ოლიმპი" - "ბ36"**



დავით კოვზირიძის სვეტი

## ფეხბურთისა და ცხოვრების სკოლა

ბავშვობაში თითქმის ყველა ბიჭს უოცნებია დიდ ფეხბურთელობაზე - ავტობუსით სტადიონზე მისვლაზე, გასახდელში ბუცების ჩაცმაზე, გვირაბიდან მოგუგუნე მოედანზე გასვლაზე, გულშემატკივრების ოვაციებზე, გვირაბში ტაშის ქვეშ დაბრუნებაზე, სტადიონიდან გამოსვლისას კომპლიმენტების მოსმენასა და ავტოგრაფების დარიგებაზე...

რამდენიმე დღის წინ ბათუმში "სკოლბურთის" მეოთხე გათამაშების ფინალური ეტაპი გაიმართა: საქართველოს თექვსმეტი საუკეთესო საშუალო სკოლა აჭარაში უძლიერესის გასარკვევად ჩავიდა. მე ერთი კვირის განმავლობაში ვესწრებოდი ამ საფეხბურთო ფესტივალს და აღფრთოვანებული დავრჩი. ეს იყო ჩემი აუხდენელი ოცნება, რომელიც, კიდევ კარგი, ვიღაცას მაინც აუსრულდა და სანამ კონკრეტულად ამ ზეიმზე ვილაპარაკებთ, გიამბობთ, რა არის "სკოლბურთი", რა დატვირთვა აქვს და რა დადებითი შედეგები შეიძლება მოიტანოს ბავშვების სპორტულ თუ სოციალურ განვითარებაში.

ამ პროექტის იდეა "ეზოს ფეხბურთის ასოციაციაში" დაიბადა, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად დამუშავდა და იმდენად საინტერესო გამოდგა, რომ მომენტალურად მიიქცია განათლების სამინისტროსა და სპონსორების ყურადღება. "სკოლბურთის" პირველ გათამაშებაში მხოლოდ თბილისის სკოლები მონაწილეობდნენ, დღეს კი საქართველოს ათას ხუთასამდე საშუალო სკოლა, ანუ დაახლოებით თხუთმეტი ათასი ბავშვია ჩართული. როგორც ვიცი, მსგავსი მასშტაბის საფეხბურთო ფესტივალი მხოლოდ გერმანიაში ტარდება. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ "სკოლბურთმა" საერთაშორისო საფეხბურთო ოჯახის ყურადღება მიიქცია და ამ პროექტით სერიოზულად დაინტერესდა უეფას ხელმძღვანელობა. ეს უკვე დიდი წარმატებაა.

პროექტი ორი კუთხითაა საინტერესო: სპორტული და სოციალური. პირველ შემთხვევაში ბიჭები, რომელთა დიდი ნაწილი ფეხბურთზე დადის და ამ პროფესიის დაუფლებისთვის ემზადება, უამრავ ახალ ნიუანსს ეცნობიან, იხვეწებიან, როგორც სპორტსმენები, ეძლევათ სპეციალისტებისთვის თავის მოწონების საშუალება, რაც უმნიშვნელოვანესია სამომავლო კარიერის აწყობის პროცესში.

თუმცა "სკოლბურთის" მთავარი კოზირი მაინც სოციალური დატვირთვაა და გეტყვით რატომ: საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ორასამდე ბავშვი ერთი კვირის განმავლობაში ერთად ცხოვრობდა კვარიათში. კომუნიკაციის თვალსაზრისით ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, კონკურენციის მიუხედავად, იქ დიდ მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი. ეს ბიჭები ერთად საუზმობდნენ, სადილობდნენ, ვახშმობდნენ, სეირნობდნენ, ერთობოდნენ, ცელქობდნენ, ერთმანეთის კულტურას, წეს-ჩვეულებებს ეცნობოდნენ. იქ დაბადებული ურთიერთობები მომავალში უეჭველად წამოყოფს სადმე თავს. აღსანიშნავია ისიც, რომ "სკოლბურთის" მონაწილეთა თითქმის ოთხმოცმა პროცენტმა ზღვა პირველად ნახა.

ცამეტი წლის ბიჭებმა სრულფასოვან ფეხბურთელებად იგრძნეს თავი, გაიგეს იმ ხიბლის გემო, რომელიც ამ პროფესიას ახლავს: თამაშობდნენ ნამდვილ, ბალახისსაფარიან მოედანზე, ეცვათ ერთნაირი ფორმა, მატჩებს ემსახურებოდნენ საქართველოს საუკეთესო მსაჯები (მთავარი და ორი გვერდითი), თამაშის წინ ერთმანეთს დიდი ფეხბურთელებივით ესალმებოდნენ, მატჩის შემდეგ მოგებული წაგებულს კორიდორს უკეთებდა და ტაშს უკრავდა, შეხვედრებს უამრავი გულშემატკივარი ესწრებოდა, რაც ბავშვისთვის ნამდვილი ზეიმია. იყო ცრემლი, იყო სიხარული, იყო ძალიან კაცური ჟესტები.

ამ ტურნირის მეშვეობით ხდება ღირებულებების სასიკეთო ცვლაც - თუ ადრე სკოლაში ძველი ბიჭები იყვნენ პოპულარული, დღეს გოგოებს უკვე წარმატებული ფეხბურთელები მოსწონთ. მახინჯი ტრადიცია ლამაზით შეიცვალა. მთელ მსოფლიოში, სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ასე იყო ყოველთვის და შესანიშნავია, რომ დღეს საქართველოშიც ასეა.

რაც შეეხება კონკრეტულად "სკოლბურთი 2009"-ის ფინალურ მატჩს, იქ წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას საშუალო სკოლა და ჩხოროწყუში მდებარე აფხაზეთიდან დევნილთა სკოლა შეხვდნენ ერთმანეთს. ეს იყო მეგრული დერბი და კიდევ ერთი დასტური, რომ ეს მხარე ნამდვილი საფეხბურთო საბადოა. ფინალი იმდენად დრამატული გამოდგა (ტურიკა დამეთანხმება, ერთად ვნახეთ), ბევრი დიდი ტურნირი რომ ინატრებს, საბოლოოდ კი პენალტების სერიაში წალენჯიხელებმა მოიგეს და მალე თურქეთში გაემგზავრებიან საერთაშორისო ტურნირზე. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერებაა იმ ბიჭებისთვის! სხვათა შორის, როდესაც წალენჯიხაში გაიგეს, რომ მათი გუნდი ფინალშია, მთელი სოფელი ლია ბათუმში ჩამოვიდა და უნდა გენახათ, რა ხდებოდა სტადიონზე.

ნელ-ნელა "სკოლბურთი" დიდი ფეხბურთის, ცხოვრების სკოლად ყალიბდება, რასაც კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობა და ყურადღება სჭირდება. ამ მართლაც შესანიშნავი პროექტის დახმარებით ხომ თაობების განვითარება და გაერთიანება ხდება, ეს კი დეფიციტური პროცესია.

*მომავალ სამშაბათამდე*

## შვიდკაცა ევროპის ჩემპიონატი ბოლომდე დაკომპლექტდა

საბოლოოდ გაირკვა ყველა იმ გუნდის ვინაობა, რომლებიც 11-12 ივლისს გერმანიის ქალაქ ჰანოვერში შვიდკაცა რაგბის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ. საქართველოს ნაკრებს ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოპოვებული ჰქონდა. ამ უქმეებზე მოსკოვში გამართულმა ეტაპმა კი საბოლოოდ გაარკვია იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც "ბორჯღალოსნებთან" ერთად ჰანოვერში ითამაშებენ.

ასე რომ, საქართველოს შვიდკაცა ნაკრებს საფრანგეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, რუმინეთის, იტალიის, მოლდოვას, პოლონეთის, რუსეთისა და გერმანიის ნაკრები გუნდები შეუერთდნენ.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ექვს ეტაპად იმართება და თითოეული გუნდი მხოლოდ ორში მონაწილეობს. გუნდები დაკავებული ადგილების მიხედვით ჩასათვლელ ქულებს იღებენ და 9 საუკეთესო (მასპინძელ გუნდთან ერთად) ძირითად ტურნირში თამაშობს. საქართველოს ნაკრებმა პოლონეთის (სოპოტი) და უკრაინის (ოდესა) ეტაპებზე იასპარეზა, ორივე ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა, საერთო ჯამში 28 ჩასათვლელი ქულა მოაგროვა და ჰანოვერის საგზური ნაადრევად დაიბევა.

შვიდკაცა რაგბიში ევროპის ჩემპიონატი მეცხრედ იმართება, თუმცა, ბრიტანული გუნდები და ირლანდია იშვიათად კადრულობენ მასში მონაწილეობას. აქამდე გამართულ ევროპირველობებზე შვიდში პორტუგალიამ გაიმარჯვა, ერთში კი - რუსეთმა.

## ნუ შეუწყობთ ხელს ფეხბურთელების ინფლაციას!

"ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელი და ყოფილი მწვრთნელი ერთმანეთს ადარებს "ბარსელონასა" და "რეალ მადრიდის" სატრანსფერო შეხედულებებს:

"ამ ორ გუნდს აქვს ორი განსხვავებული ფილოსოფია. ერთია "გემი", რომელიც ადრეული ასაკიდან იცნობს ფეხბურთელებს და შემდეგ ტალანტებად აქცევს მათ, მეორე კი უბრალოდ ყიდულობს ვარსკვლავებს. პირადად მე პირველი გზა მირჩევნია, რადგან მას აქვს ბევრი უპირატესობა: როცა ჩვენ ვთამაშობთ, მაყურებლის 90% მოდის კატალონიიდან და ფეხბურთელები, რომლებიც აქ აღზრდილები არიან, თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში".

იგი შეეხო რონალდუს ტრანსფერსაც და განაცხადა: "არ არსებობს ფეხბურთელი, რომელიც 94 მილიონი ევრო ღირს. ამდენი ფულის ერთ ფეხბურთელში დახარჯვა ახდენს ფეხბურთელების ინფლაციას!"

## ინგლისელები ბენიტესს ენდობიან

ინგლისური "ლივერპულის" მთავარ მწვრთნელს, ესპანელ რაფაელ ბენიტესს საზაფხულო ტრანსფერებისთვის კლუბის დირექტორატმა 21 მილიონი ფუნტი გამოუყო.

მერსისაიდული გუნდი ვალებში იხრჩობა, თუმცა წარმატებული ესპანელი მწვრთნელის მიერ განხორციელებული ტრანსფერები, როგორც წესი, ყოველთვის გონივრულია და კლუბის დირექტორატშიც კარგად იციან, რომ 21 მილიონი ბენიტესის ხელში სულაც არ იქნება წყალში გადაყრილი თანხა.

## "ჰალი" ოუენს იწვევს

მაიკლ ოუენი, რომელიც უგუნდოდაა დარჩენილი, შესაძლოა "ჰალში" გადავიდეს. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, "ჰალი" ოუენს ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობს შემდეგი გაგრძელების პერსპექტივით. "მაიკლის გადაბირებით ნამდვილად დაინტერესებული ვართ. ის ფანტასტიკური ფეხბურთელია, თუმცა, ხშირი ტრავმიანობა ხელს უშლის. იმედია, სასურველ პირობებზე შეთანხმებას მოვახერხებთ", - განაცხადა "ჰალ სიტის" პრეზიდენტმა პოლ დუფენმა.

## რანიერიმ "ზენიტზე" უარი თქვა

ტურინის "იუვენტუსიდან" დათხოვნილ კლაუდიო რანიერის სანკტ პეტერბურგის "ზენიტის" მთავარ მწვრთნელობას სთავაზობდნენ, თუმცა იტალიელმა სპეციალისტმა რუსულ გუნდში გადასვლაზე უარი თქვა. 57 წლის მწვრთნელი ხელშეკრულების იმ პუნქტმა არ დააკმაყოფილა, რომლის თანახმად მას 2010 წლის 1 იანვრიდან უნდა დაეწყო მუშაობა. "ზენიტის" ახლანდელ თავკაცს დიკ ადვოკაატს კონტრაქტის ვადა სწორედ ამ დროს ეწურება.

## იბრაჰიმოვიჩი "რეალზე" ოცნებობს

მას შემდეგ, რაც ჩაიშალა ზლატან იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერი "ბარსელონაში", ფეხბურთელს "რეალში" გადასვლის სურვილი გაუჩნდა. შვედი ფორვარდი იმდენად მოწადინებულია "სამეფო კლუბში" გადასვლაზე, რომ თანახმაა მადრიდულ გრანდში ნაკლებ ხელფასზეც კი ითამაშოს. "სამეფო კლუბმა" "ვალენსიადან" დავიდ ვილია ვერ გადაიბირა და ახლა შვედი თავდამსხმელის შეძენაზე გადაიტანა ყურადღება. მადრიდელები მზად არიან იბრაჰიმოვიჩის სანაცვლოდ 67 მილიონი გირვანქა გადაიხადონ, თავად ფეხბურთელი კი ხელფასის 10 მილიონიდან 7.5 მილიონამდე შემცირებაზე თანხმდება. არსებობს ვარიანტი, რომ ზლატანის ტრანსფერის განსახორციელებლად "რეალმა" საქმეში ჩართოს ჰოლანდიელი ფორვარდები რაფაელ ვან დერ ვაარტი და კლაას-იან ჰუნტელაარი.

## შამახი ლონდონისკენ იყურება

"ბორდოს" ფორვარდი მარუან შამახი იმედოვნებს, რომ მომავალ სეზონს ლონდონის "არსენალში" შეხვდება.

ბრიტანული მედიის ცნობით, ინგლისური გრანდი 25 წლის მაროკოელი ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს იხდის, თუმცა, ფრანგული კლუბისგან თანხმობა ჯერ არ მიუღია.

# ილარიანი სარაევოში პირველია

ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში დასრულდა ევროპის მესამე ლიგის გუნდური ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომლის მეორე დღეს, 21 ივნისს, 110 მეტრზე თარჯრბენში პირველი ადგილი მოიპოვა დავით ილარიანმა. მან დისტანცია 14.02 წამში დაფარა და ჩემპიონატზე პირველი უმაღლესი ადგილი მოუტანა საქართველოს. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მე-9 პოზიციაზე დარჩა (227 ქულა). ჩემპიონატის გამარჯვებულია ისარელის ნაკრები (401.5 ქულა).



დავით ილარიანი სარაევოში პირველი იყო

ტურნირის მეორე დღეს, ილარიანის გარდა, ვერც ერთმა ქართველმა საპირიზო ადგილი ვეღარ დაიკავა. შედარებით უკეთესი შედეგები ჰქონდათ თენგიზ ღვინჯილიას (მე-4 800 მეტრ დისტანციაზე - 1:56.14), ენდრიკ ზილბერშტეინს (მე-4 200 მეტრ დისტანციაზე - 21.94), როსტომ ჭინჭარაულსა (მე-5 შუბის ტყორცნაში - 63.55) და სალომე რიგიშვილს (მე-5 ბირთვის კვრაში - 12.57 ). ასე რომ, საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე 1 პირველი, 2 მეორე და 3 მესამე ადგილი მოიპოვა.

**გუნდური შედეგები**

| | |
|---|---|
| 1.ისრაელი | 401.5 ქულა |
| 2.მოლდოვა | 393.5 |
| 3.დანია | 391 |
| 4.ბოსნია | 357 |
| 5.აზერბაიჯანი | 327.5 |
| 6.ისლანდია | 327 |
| 7.ლუქსემბურგი | 292 |
| 8.სომხეთი | 245.5 |
| 9.საქართველო | 227 |
| 10.მონტენეგრო | 217.5 |
| 11.AASSE | 135 |
| 12.ანდორა | 123 |
| 13.მაკედონია | 116.5 |

# კალაძემ ჯეკო შეაფასა

იტალიური "მილანი" სატრანსფერო ბაზარზე არ აქტიურობს, თუმცა ცნობილია, რომ "როსონერის" "ვოლფსბურგის" ბოსნიელი ფორვარდის ევინ ჯეკოს შეძენა სურს. თუ "მილანი" მომავალ სეზონში სკუდეტოსთვის აპირებს ბრძოლას, მას მართლაც სჭირდება კარგი მეგოლე.

გაზეთ Corriere Dello Sport-ის ჟურნალისტთან საუბარში ბოსნიელი ფორვარდი "მილანის" ქართველმა მცველმა კახა კალაძემ შეაფასა. მან აღნიშნა, რომ ჯეკო შესაძლოა "მილანისთვის" ზლატან იბრაჰიმოვიჩად იქცეს.

"ჯეკო ძლიერი ფორვარდია. ის ერთნაირად კარგია თავით და ფეხით თამაშისას და ნებისმიერ დროს შეუძლია გოლის გატანა. ფიზიკური მონაცემებით ზლატან იბრაჰიმოვიჩს მაგონებს, თუმცა, "იბრა" გაცილებით ტექნიკური ფეხბურთელია", - აცხადებს კალაძე.



ნესტა და კალაძე

ამის შემდეგ ჟურნალისტი კახას ჯანმრთელობით დაინტერესდა. შეგახსენებთ, რომ ქართველმა მცველმა გასულ სეზონში მუხლის ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც სეზონის მეორე ნახევარი გაუცდა. ახლა ყველაფერი რიგზეა და სულ მალე საქართველოს ნაკრების კაპიტანი სრული დატვირთვით შეუდგება ვარჯიშს.

"თავს მშვენივრად ვგრძნობ და ვფიქრობ, შემიძლია დავიწყო ვარჯიში თანაგუნდელებთან ერთად. 4 ივლისს პროფესორ მარტენსს უნდა შევხვდე და მაშინ გაირკვევა ყველაფერი. დარწმუნებული ვარ, მალე ვარჯიშს დავიწყებ", - უთხრა იტალიელ ჟურნალისტს ქართველმა მცველმა.

როგორც იცით, საფეხბურთო კარიერა დაასრულა პაოლო მალდინიმ. "მილანის" უბერებელი კაპიტნის წასვლის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობა დაცვის ცენტრში კალაძისა და ნესტას იმედზეა. მართალია, გასულ სეზონში ორივეს ტრავმა ჰქონდა, მაგრამ, გალიანის განცხადებით, მომავალი სეზონისთვის როგორც კალაძე, ისე ნესტა სრულ მზადყოფნაში იქნებიან და დაცვის ცენტრში ამ დუეტს ალტერნატივა არ ეყოლება.

# ტევესი "ქალაქელი" გახდება

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედის" არგენტინელი ფორვარდი კარლოს ტევესი ამ კვირის ბოლომდე გააფორმებს კონტრაქტს "მანჩესტერ სიტისთან". ის, რომ ტევესი სერ ალექს ფერგიუსონის გუნდში დარჩენას არ აპირებდა, ცნობილი იყო. მეტიც, ორი დღის წინ მანკუნიანური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა გუნდის მესვეურთა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ტევესი "მანჩესტერს" ტოვებს. ერთადერთი, რაც ამის შემდეგ ინტერესს იწვევდა, ის იყო, თუ სად გადავიდოდა არგენტინელი. და აი, ესეც ცნობილია.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, "სიტი" 25 მილიონ გირვანქას გადაუხდის კომპანიას, რომელიც ტევესის ტრანსფერის უფლებას ფლობს, თავად ფეხბურთელს კი კვირაში 100 ათას გირვანქა სტერლინგს ჰპირდებიან.



ტევესმა "სიტი" არჩია

ასე რომ, გასული სეზონის შემდეგ სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა ორი შემტევი ფეხბურთელი დაკარგა. ცხადია, ამ ვაკუუმს შევსება სჭირდება.

გუშინვე უცხოურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ "მანჩესტერი" "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდის კარიმ ბენზემას ყიდვას აპირებს. 21 წლის ფორვარდში "მანჩესტერი" 35 მილიონი ევროს გადახდას აპირებს, თუმცა საეჭვოა, რომ "ლიონმა" ბენზემა ასე იაფად დათმოს.

ბენზემას გადაბირება სხვა მხრივაც ძნელია. მისი შეძენით არაერთი გრანდია დაინტერესებული, მათ შორის, "რეალი", "ჩელსი" და "ბარსელონა". თუ "მანჩესტერის" მესვეურებმა ჯიბეზე ხელი არ გაიკრეს, ბენზემას გადაბირება თითქმის შეუძლებელი იქნება.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 23 ივნისიდან აცხადებს ტენდერს საიზოლაციო მასალის შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **საიზოლაციო მასალის** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **23 ივნისიდან** 2009 წლის **13 ივლისის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთ | რაოდ |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| 1 | სელი | ჩასახვევი მასალა | კგ | 20 |
| | გერმეტიკი | საიზოლაციო წყალგაუმტარი (უნივერსალური სილიკონი) შავი 310 გრამი | ცალი | 100 |
| | ქაფი | საიზოლაციო 750 გრამი | | 30 |
| | პრეშპანი | სისქით 0.5-1.0 მმ | $მ^2$ | 12 |
| | კემბრიკი | მილი საიზოლაციო 10მმ | მ | 200 |
| | კიპერნი ლენტი | 40მმ | კგ | 50 |
| | პარანიტი | სისქით 1.5 ÷ 2.0 მმ | | 50 |

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4. მიწოდების ვადა:** 2009 წლის III კვ;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 13 ივლისის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნიდან დღიდან.

**ფიზიკური პირებისათვის :**

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნიდან დღიდან.

**7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) აცხადებს ღია აუქციონს სს „ოდიში"-ს ს/ნ 239860931 (მდებარე: სენაკი რ-ნი, სოფ. ნოსირი) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება სს „ოდიში"-ს შემდეგი დასახელების ქონება:

| № | საგნების დასახელება და აღწერა (განმასხვავებელი ნიშნები, ცვეთა და სხვა). | ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა): | თითოეული საგნის შეფასება ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ფასი | საბაზრო ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | შენობა ორსართულიანი მიშენების ჩათვლით (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 18500 |
| 2 | საოპერატორო (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 1200 |
| 3 | საგუშაგო ჯიხური | | | 350 |
| 4 | საპირფარეშო (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 150 |
| 5 | სახანძრო (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 2000 |
| 6 | ელ.ქვესადგური (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 1500 |
| 7 | საქვაბე (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 1500 |
| 8 | თეთრი პროდუქტის სანასოსე შენობა (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 4650 |
| 9 | შავი პროდუქტის სანასოსე შენობა (სენაკის რ-ნი, სოფ. ნოსირი) | | | 3200 |
| 10 | ესტაკადები-დასაცლელი | | | 1500 |
| 11 | ნავთობგამტარი ქსელი | 1 გრძ.მ | 20 | |
| 12 | წყლის კოშკი | 1ც | | 800 |
| 13 | რეზერვუარი 25 $მ^3$ | 1ც | | 400 |
| 14 | რეზერვუარი 5 $მ^3$ | 2ც | 150 | 300 |
| 15 | რეზერვუარი 1000 $მ^3$ | 11ც | 5000 | 55000 |
| 16 | რეზერვუარი 2000 $მ^3$ | 2ც | 7000 | 14000 |
| 17 | რეზერვუარი 100 $მ^3$ | 16ც | 1500 | 24000 |
| 18 | რეზერვუარი 50 $მ^3$ | 2ც | 300 | 600 |
| 19 | ზეთის გას. რეზერუარი | 4ც | 150 | 600 |
| 20 | სახანძრო წყლის ავზი | 1ც | | 800 |
| 21 | წყლის ავზი | 1ც | | 1000 |
| 22 | ელ. განათების კოშკი | 2ც | 150 | 300 |
| 23 | რკინიგზის ჩიხი | 1 გრძ.მ | 550 | |
| 24 | ბეტონის ღობე | 516 გრძ.მ | | 17200 |
| 25 | გასაცემი ესტაკადები | 1ც | | 8000 |
| 26 | ელ გადამცემი ხაზი | 1 გრძ.მ | 12 | |
| 27 | დიზელ-გენერატორი 75 კვტ | 1ც | | 3500 |
| 28 | ტრანსფორმატორი 400 კვტ | 1ც | | 15000 |
| 29 | მიწის ფართი (სოფ ნოსირი) | 44350 კვმ | | 443500 |
| | სულ ჯამი | | | 619550 |

ქონების საერთო ღირებულება: 619550 (ექვსასცხრამეტიათასხუთასორმოცდაათი) ლარი

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართია: სენაკი რ-ნი, სოფ. ნოსირი

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 27 ივლისს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №111, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სენაკის ოფისის შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302006000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7.

ტელ.: 8(22)26-18-19; 8(22)26-18-21.




# დაიპყარი მწვერვალი!

## გახდი მოდელი!

საპრიზო ფონდი
$325 000






Tamar Shedania - Elite Model Look Georgia 2007

**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურსის Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ლინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმური, ჟიზელა შიფერი, სინდი კროუფორდი - მათ აირჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პირველი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამარჯვებული გაემგზავრება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანია და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წარმატებით აგრძელებენ საერთაშორისო სამოდელო კარიერას.





Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008

**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიკო ნიკოლაძის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გარდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025;
info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge

IC MODEL MANAGEMENT kikala studio 24 საათი MUSIC BOX COSMOPOLITAN



# განცხადება
# მეორე საჯარო განხილვა
# გარემოს შეფასება
# (თარიღის შეცვლა)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარფი-ბათუმი-ქობულეთის შემოვლითი გზის განვითარების პროექტის მშენებლობის საჯარო განხილვის შეხვედრა შედგება ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქ. 11, ინტურისტ პალას ჰოტელში 2009 წ. **25 ივნისს** (ნაცვლად 26 ივნისისა), 10:00-დან 13:00 საათამდე. E-mail: masud@eng-consult.com



# ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი
# ქალის ჯანმრთელობაა !
# თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის
# და საშვილოსნოს ავთვისებიანი
# სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს" მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**



# ბეტონშემრევი:

## BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა
1 დღე

BMC

**ტექნიკის ტიპი:** ბეტონშემრევი
**მწარმოებელი:** BMC
**მოდელი:** BMC PRO 935 FTE
**მოცულობა:** 10 მ.3
**ძრავი:** Cummins C 350-20 (Euro2) Turbo Intercooler
**სიმძლავრე:** 350 ცხ.ძ.
**გადაცემათა კოლოფი:** ZF 16 S
**ბეტონშემრევი დანადგარი:** LIEBHERR
**გარანტია:** 1 წელი
**მიწოდების ვადა:** 1 დღე



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

TEGETA TRUCK & BUS LTD

24-47-44, 24-47-44 (1219)

Agritechnics HOLDING

საუკეთესო ამერიკული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

JOHN DEERE



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
24-47-44, 24-47-44 (1219)

სერვის პარტნიორი
თეგეტა მოტორსი

ილია ჭავჭავაძის სახელობის
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (**სეუ**)



აცხადებს პროფესორ- მასწავლებელთა კონკურსს, როგორც სალექციო საათობრივ ისე აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლადა ( სრული, ასოცირებული. ასისტენტ პროფესორი).
შემდეგ მიმართულებებზე:

1. სოციალური მეცნიერებანი ბიზნესი და სამართალმცოდნეობა,
2. ჰუმანიტარული მეცნიერებანი და ხელოვნება
3. ინჟინერია, მრეწველობა და მშენებლობა,
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მათემატიკა, კომპიუტერული სისტემები და ქსელები.

აღნიშნულ მიმართულებებზე უნივერსიტეტი აგრეთვე იწვევს პროფესორ-მასწავლებლებს საათობრივ ანაზღაურებაზე.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- აკადემიური ხარისხის (დიპლომის ქსეროასლი) დადასტურებული ნოტარიალურად;
- კვალიფიკაციის მიხედვით შესაბამისი სილაბუსი;
- ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (კადრების მიერ დამოწმებული).

საბუთების მიღების ბოლო ვადა 10 ივლისი. კონკურსი ჩატარდება 10 აგვისტოს.
ტელ: (822) 45 92 65: : 93-46-18, 855 73 25 35
ელ პოსტა: lika_lomaia@yahoo.com

**P.S.** სეუ-ში დაიწყო აბიტურიენტთა საბუთების მიღებაც, ყველასპეციალობაზე.ტელ: (822) 45-92-67: (893) 19-49-59: (855)- 99-50-13

მის: თბილისი, წინანდლის ქ. №9, მეტრო **300** არაგველი,
I კლინიკურ (არამიანცის) საავადმყოფოსთან

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის ......კმ1-კმ27 მონაკვეთზე მიმდინარეობს სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია განთავსებულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში. მოსახლეობას 4 აგვისტომდე შეუძლია გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტაციას და წარმოგვიდგინონ თავიანთი მოსაზრებები. ხოლო 7 აგვისტოს 14:00 საგარეჯოს რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში მოეწყობა GFგზშ-ს საჯარო განხილვა. (დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს ტელ: 370508-256)

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 28 მაისს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "ენ-ელ-ჯი-ჯგუფისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".

„განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 15 ივნისის N401 ბრძანებით, შპს "თბილისის ბიზნეს სკოლა თი ბი ეს-ს" უარი ეთქვა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე."

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 11 ივნისის N389 ბრძანებით, შპს "კავკასბიზნესაკადემიას" უარი ეთქვა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე."

**შპს "გეოამქარი" გთავაზობთ**

**ბურღვით სამუშაოებს სასმელ და ტექნიკურ წყალზე.**

**ტელეფონი: 877 42 32 04**

**899 56 20 60**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ტენდერს ქ/ს ნავთლუღი-220-ში ტრანსპორტის სამსახურის შენობის,დაცვის ჯიხურის, გარე-ღია ავტოსადგომების, პანდუსის, სტრანსპორტო-სარემონტო ბოქსებისა და მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო, მოწყობა-მოასფალტების სამუშაოების შესყიდვის განსახორციელებად **(ერთი ლოტი).**

**მისამართი: ქ, თბილისი, ნაკადულის ქ. N2**

**სამუშაოების შესრულების სასურველი ვადაა შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 4 (ოთხი) თვე.**

სამუშაოების კონკრეტული ჩამონათვალი იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში (ტექნიკურ პირობებში).

**აუცილებელი პირობა:**

შესყიდვის განხორციელებისას ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1% ოდენობის, ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5% ოდენობის.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი **200 (ორასი) ლარის** ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ანგარიშზე: **სააქციო საზოგადოება საქართველოს ბანკი", ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101502, ა/ა 283534100, ს/კოდი: 204995176.** და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის ნომერი **T-0609 G-022.**

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 13 ივლისის 18:00 საათამდე.

დაფინანსების წყარო----შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სახსრებით.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 14 ივლისს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე** (თბილისის დროით), შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.N2, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შესყიდვების სამსახურში, ოთახი N419.**

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება **2009 წლის 14 ივლისს 15:00 საათზე (თბილისის დროით)** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სათაო ოფისის შენობა, სათათბირო დარბაზი.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია:

**იურიდიულ პირთათვის;**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
2. ცნობა ყადაღის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საკონტაქტო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლების სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია ინგლისურ ან რუსულ ენაზე (ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.) დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

**პრეტენდენტის დასახელება, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სატენდერო კომისიას. ტენდერი T-0609 G-022.**

